# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფეხილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 26 დეკემბერი. 2022 წ. №191-192 (9529-9530) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იხ. 3 გვ.

ლია სტურუა:

## არავითარი სხვა სამშობლო არ გამაჩნია!



## მის უწმინდესობას გულითადად ვულოცავ აღსაყდრებიდან 45 წლისთავს!

მისი უდიდესი პირადი წვლილის დამსახურებით, ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესი ქრისტიანულ ფასეულობებთან ჩვენი დაბრუნებით დაიწყო. მთელი ამ ათწლეულების განმავლობაში ჩვენი პატრიარქი განსაცდელში გვამხნევებს, გვაერთიანებს, მოყვასის სიყვარულისა და თანადგომის, ქვეყნის მსახურების ცოცხალ მაგალითს გვაძლევს, მომავლის რწმენას გვინერგავს.

ფასეულობები, რომელთაც მისი უწმინდესობა საკუთარი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ამკვიდრებს, უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიოა, ყველა ჩვენგანის საკუთრებაა — ერთნაირად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის; ამიტომაც, ამ შესანიშნავ დღეს ასევე ვულოცავ ჩვენს საზოგადოებას.

დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ მის უწმინდესობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ირაკლი ღარიბაშვილი

მეუფე შიო მუჯირი:

## თქვენი მოწამებრივი მსახურება ჩვენთვის თავგანწირვისა და სიყვარულის ნათელი მაგალითია!



დღეს არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრებიდან ორმოცდამეხუთე წლისთავი. შეგვეწიოს ჩვენ და მთელ საქართველოს მისი დალოცვა. დღეს წმინდა სახარებიდან წაკითხული იყო იგავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ნადიმზე მოწვეულთა შესახებ. მათეს სახარებაში საქორწინო ნადიმი, სიძის ქორწილია მოხსენიებული. აი, ამ იგავით უფალი გადმოგვცემს ჩვენ მის სიყვარულს ჩვენდამი, თუ რაოდენ დიდია მისი სიყვარული და წადილი იმისა, რომ ჩვენთან ერთად იყოს იგი და ჩვენ ვიყოთ მასთან ერთად. ამისთვის უფალი მუდამ აგზავნიდა თავის რჩეულ ადამიანებს — წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, მღვდელმთავრებს, ღირს მამებს და ა.შ., ვინც მოუწოდებდა ადამიანებს ამ ნადიმზე. თვითონ უფალი იესო ქრისტეც ამიტომ განკაცდა, ამიტომ მიიღო კაცობრივი ბუნება და ამიტომ მოევლინა კაცობრიობას.

იხ. 2 გვ.

## არ ყოფილა წამი, წუთი და დღე, როცა პატრიარქი არ იყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი

...მე წარმოვადგენ იმ თაობას, რომლის ასაკიც ემთხვევა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის პატრიარქობის პერიოდს. ჩემს ცხოვრებაში, ისევე როგორც ჩემი თაობის წარმომადგენლების ცხოვრებაში, არ ყოფილა წამი, წუთი და დღე, როდესაც ჩვენი პატრიარქი არ იყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი. ამავე დროს, წარმოვადგენ იმ თაობას, რომელმაც გამოიარა ეკონომიკური კეთილდღეობაც და სიდუხჭირეც, საზოგადოების ერთიანობაც და გახლეჩაც, მშვიდობაც და ომიც. და არ ყოფილა წამი, წუთი და დღე, როდესაც პატრიარქი არ იყო ჩვენი თანაზიარი ჭირსა თუ ლხინში. არ ყოფილა ეროვნული მნიშვნელობის საკითხი, რომელზეც მას ქვეყნის მომავლის წინაშე პასუხისმგებლობით გაჯერებული რჩევა არ გაეზიარებინოს. არ ყოფილა ადამიანი, რომელსაც სჭირდებოდა მისი ნუგეში და არ მიეღოს.

ისტორიულია მისი როლი ქართველი ერის სულიერებისკენ შემობრუნებაში და განმტკიცებაში. აღსაყდრებისას მან ჩაიბარა ქართული ეკლესია 15 ეპარქიაში მოქმედი 30 ტაძრით, სადაც რამდენიმე ათეული ეპისკოპოსი და ბერ-მონაზონი მსახურებას აღავლენდა და აქცია ის 46 ეპარქიად, 2000 მოქმედ ტაძრად, 3000 ბერ-მონაზვნად და ერის და ქვეყნის სულიერ საყრდენად. თუმცა, ყველაზე გამორჩეულია უწმინდესის პირადი მაგალითი ადამიანის უპირობო სიყვარულისა, „რადგანაც ღმერთი სიყვარულია“. ამ სიყვარულის დამსახურებაა ის სითბო და განსაკუთრებული პატივისცემა, რომელიც მის მიმართ აქვს ჩვენს ერს და ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონია. ვულოცავ მის უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრების 45-ე წლისთავს. ვუსურვებ მხნეობას და დღეგრძელობას კიდევ მრავალი წელი ჩვენი ეკლესიის და ერის სულიერი წინამძღოლობისთვის...

შალვა პაპუაშვილი.

პაატა ნაცვლიშვილი

იხ. 6 გვ.



## პერფექციონისტის შთანახატები




## ნუ დაამახინჯებთ ქართული ფუტკრის ღირსებას!



5

## სალომე ზურაბიშვილი:

# ვულოცავ ყველას, ვინც 25 დეკემბერს შობის დღესასწაულს ზეიმობს!

**— საქართველოში კონფესიათა სიმრავლე და მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია საამაყოა ჩვენი ქვეყნისათვის. ვუერთდები საქართველოში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მრევლის, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი, ღირსეული ნაწილის სიხარულსა და საზეიმო განწყობას, რომელიც მუდამ თან ახლავს ქრისტესშობის დღესასწაულს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულსა და კეთილდღეობას!..**

## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ყველაზე მნიშვნელოვანს, მშვიდობასა და კეთილდღეობას გისურვებთ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქრისტეს შობას ულოცავს მოქალაქეებს, რომლებიც დღესასწაულს დღეს აღნიშნავენ.

**„ყველას, ვინც დღეს შობის დღესასწაულს აღნიშნავს, მინდა, მივულოცო ეს დღე როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ყველაზე მნიშვნელოვანს — მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ მათ, ვისთვისაც 25 დეკემბერი სიყვარულის, სიხარულისა და იმედის დღესასწაულია“!**

## კახა კალაძე:

# მინდა, ყველას გულით მივულოცო ეს სიკეთითა და სიყვარულით გაჯერებული დღესასწაული

თბილისის მერი კახა კალაძე ქრისტეს შობას ულოცავს მოქალაქეებს, რომლებიც დღესასწაულს 25 დეკემბერს ზეიმობენ.

**„მინდა, ყველას, პირველ რიგში კი, ჩემს მეგობრებს საქართველოში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ვინც დღეს მაცხოვრის შობას ზეიმობს, მთელი გულით მივულოცო ეს ლამაზი, სიკეთითა და სიყვარულით გაჯერებული დღესასწაული! მშვიდობა და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ, ჩემო მეგობრებო! გილოცავთ“.**




# „ხსნის არმიის“ ეკლესიაში ქრისტეს შობა იდღესასწაულა!

ქრისტეშობისადმი მიძღვნილი საზეიმო ლიტურგია მიმდინარეობს „ხსნის არმიაში“.

**„კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა იმაზე დიდი მოვლენა, ვიდრე იესო ქრისტეს განკაცებაა. იესო ქრისტეს იუდეის ბეთლემში დაბადებით, მისი ცხოვრებით, სწავლებით, ქადაგებით და სიყვარულით გამოვლინდა მამის უპირობო სიყვარული ჩვენდამი, იმისთვის, რომ კაცობრიობა გადარჩენილიყო და გვქონოდა ხსნა. ამიტომ მთელ საქართველოს ვულოცავ ამ დღესასწაულს და ვუსურვებ, რომ ჰქონდეს მშვიდობა სულში, შინ და გარეთ და უფლის თანდასწრება იყოს მათთან“,** — თქვა „ხსნის არმიის“ რეგიონულმა მეთაურმა, რევაზ ბახტაძემ.

**საქართველო ერთ-ერთია იმ 132 ქვეყნიდან, სადაც ქრისტიანული ეკლესია „ხსნის არმია“ და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია მოღვაწეობს. ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაცია მე-19 საუკუნის შუა წლებიდან არსებობს, საქართველოში კი 1993 წლიდან მოღვაწეობს და ჰუმანიტარული საქმიანობის ფართო ქსელი აქვს.**

## მეუფე შიო მუჯირი:

# თქვენი მოწამებრივი მსახურება ჩვენთვის თავგანწირვისა და სიყვარულის ნათელი მაგალითია!



(პირველი გვერდიდან) მისი ნებაა, რომ ყველა ადამიანი გახდეს წევრი აი, ამ სერობისა, ამ პურობისა, ამ საქორწინო სუფრისა, ყველა, ვისთვისაც უფალმა სისხლი დაღვარა ჯვარზე.

ჩვენ ბედნიერნი ვართ დღეს, ძვირფასო ძმანო და დანო, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გახლავთ სწორედ აი, ამ მცირერიცხოვან რჩეულთა შორისაც რჩეული ადამიანი, რომელმაც აღაშენა ჩვენი ეკლესია და ყოველი ჩვენგანი მოიყვანა აი, ამ ქრისტეს ნადიმზე. ჩვენ ვხარობთ, დღეს ჩვენი გულები სავსეა სიხარულითა და მადლიერებით.

ნება მიბოძეთ, წმინდა სინოდის მღვდელმთავართა სახელით მივულოცო მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და წავიკითხო მისალოცი წერილი. თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, დიდო მეუფეო და ჩვენო მოწყალეო მამავ.

დღეს მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე თქვენი აღსაყდრების ორმოცდამეხუთე წლისთავს აღნიშნავს. 1977 წლის 25 დეკემბერი ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნისთვის ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა. ეს არის დღე, რომელიც თქვენს სამწყსოს, თქვენდამი მადლიერების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აერთიანებს. ნება მიბოძეთ წმინდა სინოდის მღვდელმთავრების სახელით გულითადად მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე.

აღსაყდრების დღეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან თქვენ ისტორიული სიტყვა წარმოთქვით, სადაც აღნიშნეთ, რომ ქედს იხრით საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს თქვენი ძალა და გონება; ჩვენ დღეს ვმადლობთ უფალს, რომ მისი შეწევნით, თქვენ უკვე ორმოცდახუთი წელია მუხლჩაუხრელად და ღირსეულად აღასრულებთ ამ დიდ მისიას.

„რომ ვუყურებ ჩემს წარსულს, ვხედავ, რომ იგი ყოველდღიური მოწამეობა იყო და დღესაც ასეა, რომ არა ღვთის მადლი და შემწეობა და თქვენი სიყვარული და თანადგომა, ამ ჯვრის ტვირთვას ვერ შევძლებდი“, — ბრძანებთ თქვენ. მრავალი წლის განმავლობაში თქვენი, მართლაც, მოწამებრივი მსახურება ქრისტეს ეკლესიისა და ქართველი ერის წინაშე, ჩვენთვის, თქვენი სულიერი შვილებისთვის, თავგანწირვისა და სიყვარულის ნათელი მაგალითია.

უფალმა საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრება, ჩვენი ისტორიის ურთულეს პერიოდში, საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებში, ინება. სწორედ ამ დროიდან, თქვენი წინამძღოლობით, იწყება საქართველოს ეკლესიის ფერისცვალება და აღმავლობა.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თქვენი საპატრიარქო მოღვაწეობის პერიოდში ეკლესიის წიაღში ეპოქალურ ცვლილებებს ჩაეყარა საფუძველი. შეუძლებელია სრულად შეფასდეს თქვენი ღვაწლი ჩვენი ეკლესიისა და ერის წინაშე. თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი კიდევ არაერთი თაობის შთაგონების წყარო გახდება.

ჩვენ მადლიერების გრძნობით გვინდა გავიხსენოთ იმ დიდი საქმეების მხოლოდ არასრული ჩამონათვალი, რომელიც თქვენს ორმოცდახუთწლიან მოღვაწეობას უკავშირდება. ესენია: ეპარქიებისა და მღვდელმთავრების რიცხვის გაზრდა, სამღვდელო და სამონაზვნო დასის გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აშენება და განახლება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის აღიარების მოპოვება, წმინდა სამების დიდებული საკათედრო ტაძრის აგება, მრავალი საეკლესიო მოღვაწის წმინდანად შერაცხვა.

მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის სწორედ იმ ადამიანების ცხოვრების წარმოჩენა მოხდა, ვინც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის და ჩვენი კულტურული იდენტობის გადარჩენისათვის იღვწოდა. აღსანიშნავია აგრეთვე: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საკონსტიტუციო შეთანხმების გაფორმება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადება და მრავალი სხვ.

მნიშვნელოვანია თქვენი ღვაწლი საგანმანათლებლო და მისიონერულ სფეროებში. ამ მიმართულებით დიდი მოვლენები იყო სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გახსნა, საეკლესიო სკოლა-გიმნაზიების ამოქმედება, საპატრიარქოს უნივერსიტეტის დაარსება

აქვე უნდა ვახსენოთ თქვენს მიერ შვიდგზის ლოცვების დაწესება, შესანიშნავი საგალობლებისა და ხატების შექმნა.

მრავალი შეიძლება, ითქვას ასევე მზრუნველობაზე, რომელსაც თქვენ იჩენთ სხვადასხვა სფეროს მიმართ, როგორებიცაა — მეცნიერება, ხელოვნება, ქართული საეკლესიო გალობა, საგამომცემლო საქმე და დემოგრაფიული საკითხები. დიდია თქვენი მამობრივი სიყვარული და თანადგომა სამხედრო უწყებებში მომსახურეების, ჩვენი ემიგრანტების, შვილგარდაცვლილი დედებისა თუ სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ.

თქვენი ყველაზე დიდი სატკივარი და საზრუნავია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი; დროებით ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მშობლიური მხარიდან განდევნილი ასობით ათასი ადამიანი. მხოლოდ თქვენ შეძელით, დამპყრობლის მიერ ოკუპირებულ ჩვენს მიწა-წყალზე შესვლა და ბრძოლის ველზე დაცემული ქართველ მეომართა ცხედრების გადმოსვენება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თქვენი ღვაწლის წარმატებაში დიდი ადგილი უკავია თქვენს პირად ადამიანურ თვისებებს და სულიერი მოსაგრეობის შედეგად მოხვეჭილ სათნოებებს. ადამიანური სითბო და თანაგრძნობა, გულმოწყალება და სიყვარული, სიმშვიდე და თავმდაბლობა, რომელსაც თქვენ მოყვასთან ურთიერთობაში მუდამ ავლენთ, ის უხილავი ძალაა, რომელმაც მრავალი ადამიანის გული გაათბო და ეკლესიის წიაღში მოიყვანა.

ამასთან, თქვენი ეს თვისებები გახდა საფუძველი იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას და თქვენს პიროვნებას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო ასპარეზზე როგორც სასულიერო, ასევე საერო მოღვაწეთა შორის.

სწორედ თქვენმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა ის მოვლენა, რომ თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს, იორდანიაში, მაცხოვრის ნათლისღების ადგილთან ახლოს, მდინარე იორდანესთან, მიწის ნაკვეთი გადაეცა, სადაც სულიერებისა და ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

ეს ადგილი იმავდროულად სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუნქციასაც შეიძენს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან წმინდა მიწაზე მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული კვალი დღემდე არ არის სრულად გამოკვლეული სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოების გამო.

„ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემს თვალწინ იქნება ის თვალით უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დამსვა უფლის ძლიერმა მარჯვენამ. ჩემს გულზედ წერია ის ვალდებულებანი, რომლებიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ყოვლად მაღალი მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა“, — ბრძანეთ თქვენ; და ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ თქვენ დღესაც დიდი შემართებითა და ერთგულებით ასრულებთ უფლის მიერ თქვენზე დაკისრებულ მოვალეობას; თავგანწირვით ემსახურებით ღმერთს, სამშობლოსა და ადამიანს.

ამიტომაც ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისევე, როგორც წარსულში, თქვენი სიბრძნით არაერთხელ აარიდეთ საქართველოს დიდი განსაცდელი, დღესაც, როდესაც ჩვენი ქვეყანა რთული გამოწვევების წინაშე დგას, თქვენი ლოცვითა და სულიერი წინამძღოლობით, უფალი შეგვაძლებინებს მათ გადალახვას.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, კიდევ ერთხელ გილოცავთ აღსაყდრებიდან ორმოცდამეხუთე წლისთავს და დიდი სიყვარულით გმადლობთ თქვენი მამობრივი ზრუნვისა და ღვაწლისთვის. შევთხოვთ ყოვლადწმინდა სამებას, რომ გაგაძლიეროთ სულიერად და ხორციელად და მოგმადლოთ დღეგრძელობა ჩვენი ეკლესიისა და ერის საკეთილდღეოდ, მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ“, — განაცხადა მეუფე შიომ.

# არავითარი სხვა სამშობლო არ გამაჩნია!

**„უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, დასაღვრელის,
ალბათ, მაცნეა“**

წერდა მურმან ლებანიძე, საქართველოს წარსულიდან, აწმყოდან გამომდინარე, სულ არის ეს შიში. დაპატარავებული, განერვიულებული, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ პათოსწართმეული, ახლა ერთი ნამცეცი, ერთი მარცვალი ქყვეყნის წალეკვის, მოსპობის შიში.

თავის დროზე ჰიტლერს საქართველოს „განახლება“ უნდოდა, ხრუშჩოვს ქართული ენის მოსპობა, არ გამოუვიდათ. ახლა სხვა დროა, გიჟი დიქტატორები, თითქოს, წარსულს ჩაბარდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის ომმა ნახევარი ზღვა დაგვიკეტა, საუკეთესო მიწა წაგვართვა, რომელსაც ახლა შაქარს აყრიან და ჭამენ, ჭუბერმა ხერხემალში გაგვტეხა, 2008 წ. კიდევ რა მოხდა, ხომ ვიცით და ომი არ გვინდა, „მეორე ფრონტს“ დაარქმევენ მას, თუ „თეთრი და ალისფერი ვარდების ომს“, რა მნიშვნელობა აქვს?

მთავარია, რომ ყოველგვარი ომი წაშლის საქართველოს, თავის ცოცხალი ხალხიანად, თავის რუსთაველ-ბარათაშვილ-გალაკტიონ-ფიროსმანიანად, დღევანდელი ახალგაზრდა ძლიერი პოეზია-მხატვრობა-მუსიკიანად.

ამათგან საუკეთესოებს, უფრო ხშირად, პურის ფული თუ აქვთ და ჭერი თავზე, საზღვარგარეთ ვერ გაიქცევიან, იქ ვერ იცხოვრებენ, ვერ გაიცინებენ იგივე მურმან ლებანიძის სტრიქონზე: „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია“, როგორც ომის ფულიანი წამქეზებლები.

კი, აქაც იმდენი რამეა გათვლილი და გასათვლელი, რასაც მე ვერ გავიგებ, თუ არ მინდა გავიგო, რადგან პოლიტიკა ჩემი საქმე არაა. მე შემიძლია ვილაპარაკო და დავწერო იმაზე, რასაც ვხედავ და ვგრძნობ, რისი კატეგორიულად მეშინია. რისი მეშინია?

რომ საქართველო, უძველესი კულტურის ქვეყანა ეთნიკურ ჯგუფად არ იქცეს და ქვეყანას თუ კულტურა და ხელოვნება არ აქვს, ეთნიკური ჯგუფობა გარანტირებულია.

რასაც ბიძინა ივანიშვილი ათეული წლების მანძილზე აკეთებდა და აკეთებს, ეკლესიების, უნივერსიტეტების, თეატრების მშენებლობა, გადარჩენა იმ ადამიანების, ვინც საქართველოს კულტურას და ხელოვნებას ქმნის.

აქვს და იმიტომო! ამბობს ოპოზიცია. დავიჯეროთ, საქართველოში ამ მილიონების ტრიალის დროში, სხვას არავის ჰქონია შესაძლებლობა 5 მსახიობს და ხუთნახევარ პოეტს დახმარებოდა? თუ ფული, ჯობია, არეულობას მოხმარდეს?

მაგრამ როცა არსებობს ადამიანი, რომლისთვისაც ცნებები „სამშობლო“ და „ჭეშმარიტება“ იდენ-



ტურია, როცა მან იცის, რომ ერს, რომ სული ამოართვა, უფრო იოლად დაიმორჩილებ, მაგონდება ძველი ძლიერი გერმანელი მარტინ ლუთერი, რომელიც ამბობდა: „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“!

პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ დაწერა: „ფილოსოფოსმა თქვა, ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა ვაყენებო“ და შეაჩვენეს. გალაკტიონმა თქვა: „თოვლია ჩემი სამშობლო“ და აღმერთებენ.

ეს პატარა ლირიკული წიაღსვლა. კიდევ ერთს დავუმატებ. ერთი საუკეთესო მსახიობის პანაშვიდზე მივედი და მისმა ცოლმა მითხრა, ბიძინა ივანიშვილი რომ არა, 10-წლის წინ მოგიწევდათ მოსვლაო. რამდენი ადამიანი გადაარჩინა ამგვარად ბიძინა ივანიშვილმა, ჩამოთვლა გამიჭირდება.

კარგი, ამას მე ვამბობ, მაგრამ საფრანგეთი „საპატიო ლეგიონის ორდენს“ რომ პოზიცია-ოპოზიციას, თუ ენჯეოების მითითებით არ გადასცემდა, ხომ ფაქტია! თავისი ეროვნული გმირის შარლ დე გოლის და მსოფლიოს უკეთესი მწერლების, რეჟისორების, საზოგადო მოღვაწეების გვერდით რომ მხოლოდ ღირსეულს დააყენებდა, ესეც ფაქტია და ფაქტი რომ ჯიუტია, ესეც ხომ ვიცით (მეპატიოს ასეთი ბანალობა......)

და, ახლა, უცებ,წამოვიდა მოწოდება „დეოლიგარქიზაცია“, იმპორტული და შინაური. როცა აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იყო, სიდნი შელდონის რომანში წავიკითხე, რომ XX საუკუნეში ის ყველაზე წარმატებული ბიზნესმენი ყოფილა, დეველოპერი. ამერიკა სხვა ქვეყანაა, საქართველოს კი არ ვადარებ, მაგრამ ტრამპის პრეზიდენტობის დროს არავის წამოსცდენია „დეოლიგარქიზაცია“.

აბა, ჩვენთან რა ხდება?

ალბათ ის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად ცდილობს საქართველოში სიმშვიდე შეინარჩუნოს, გადაარჩინოს ქვეყანა ჭუბერის და 2008 წლის გამეორებას.

ჩემს ახალგაზრდობაში იყო ერთი ასეთი სახუმარო სიმღერა:

„საქართველო რუსეთია, საქართველო ისე ჰქვია“

ახლა ვინ ვართ? ევროპა? ამერიკა? ორივესთან გვინდა ურთიერთობა, ოღონდ, თანაბარი, ძახილის ნიშნების მომრავლების გარეშე ჩვენს მიმართ.

რამდენი საუკუნის წინ გადაწყვიტა სულხან საბა ორბელიანმა დახმარება ეთხოვა ევროპისთვის, — კი არ გამოუვიდა, მაგრამ ევროპული ორიენტაცია ხომ ჰქონდა.

რანდენჯერ მიტირია ტელევიზორთან უკრაინელ ბავშვებთან ერთად .

ამ ზაფხულს წყნეთში სასტუმრო „კოპალაში“ ბევრი უკრაინული ოჯახი ვნახე. აჭმევდნენ, ასმევდნენ, ეფერებოდნენ. თან მიხაროდა, თან მეტირებოდა,მახსენდებოდა რუსი მწერლის ფ. დოსტოევსკის სიტყვები, რომ, თუნდაც, ერთადერთი ბავშვის ცრემლს შეუძლია საყოველთაო ჰარმონიის დარღვევა.

მე მიყვარს უკრაინა, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა, შვედეთი, მაგრამ საქართველო მათზე მეტად მიყვარს,რადგან ეს ჩემი სამშობლოა.



და, ისევ, მურმან ლებანიძის ხმა მესმის:

**„მე დავინახე სვეტიცხოვლის
თორმეტი სვეტი
და კითხვა: ვინ ვის?
ბეზერ გულზე ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო
ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა,
სხვა ხსნა
არ გამაჩნია“.**

**ლია სტურუა**

---

**გლობალური „ომის პარტიის“ რიგითი აგენტის გადასარჩენად ამერიკული სპეცოპერაცია კულმინაციას აღწევს!**



# CNN შავნოდარას დონემდე დაცემულნი




**..მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანის სპეცოპერაციის ჩავარდნისთანავე, მისმა ავტორებმა ახალი სპეცოპერაცია — „ფრი მიშა“ წამოიწყეს. ამ სპეცოპერაციასაც ზუსტად იგივე მიზანი აქვს, რაც პირველს ჰქონდა. სპეცოპერაციის ავტორები ფიქრობენ, რომ სააკაშვილი არის ერთადერთი ფიგურა, რომელსაც აგონიაში მყოფი „ნაცმოძრაობის“ გაცოცხლება, მინელებული პოლარიზაციის ხელახლა გაღვივება, ქვეყანაში ვითარების არევა, ხელისუფლების გადატრიალება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა შეუძლია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სპეცოპერაცია „ფრი მიშას“ ავტორები ჩრდილში რჩებოდნენ, რადგან პირველ სპეცოპერაციასთან მათი კავშირის გაშიფვრის ეშინოდათ, თუმცა, როდესაც ლოკალური რესურსით მიზანს ვერ მიაღწიეს, თავის გაშიფვრასაც არ მოერიდნენ და საქმეში უკვე სრულმასშტაბიანი კოორდინაცია ჩართეს.**

**გუშინ „ფრი მიშას“ სპეცოპერაციას 11-წუთიანი გადაცემა CNN-ზეც კი მიუძღვნეს. მთელი გადაცემა ფეიკებით ისე იყო გაჯერებული, რომ „მთავარ არხსა“ და „ტვ პირველსაც“ კი შეშურდებოდათ. გადაცემაში საწინააღმდეგო აზრის გახმოვანება აზრადაც არ მოსვლიათ, რაც ელემენტარული ჟურნალისტური სტანდარტის უხეში დარღვევაა.**

**არაჟნის კონტეინერით საქართველოში უკანონოდ შემოპარული ექსპრეზიდენტი, სანდრო გირგვლიანის მკვლელების შემწყალებელი და ვალერი გელაშვილის წამების შემკვეთი CNN-ზე, „ნაცმოძრაობის“ ხელით წარმოებული ფეიკკამპანიის შესაბამისად, პუტინის პირად პატიმრად გაასაღეს, ხოლო საავადმყოფოში სრულ კომფორტში მყოფი პატიმარი წამებულად გამოიყვანეს.**

**როდესაც ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული ტელევიზია ნოდარ მელაძის დონემდე დადის, ძალიან კარგად ჩანს, თუ რამდენად მასშტაბურია კოორდინაცია „ფრი მიშას“ სპეცოპერაციის გარშემო და რამდენად მნიშვნელოვანია საბოლოო მიზანი, რომელსაც სააკაშვილის განთავისუფლება ემსახურება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სწორედ ამერიკაში გაყალბდა დასკვნა სააკაშვილის ე.წ. მოწამვლის შესახებ. მარტივი მანიპულაცია, რომელიც ახალი ფეიკკამპანიის აგორების მიზნით განხორციელდა, მათივე დოკუმენტებიდან მარტივად გაიშიფრა, რაზეც პენიტენციური დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსმა საზოგადოებისთვის ვრცელი განმარტება გააკეთა.**

**გუშინ მაკკეინის ინსტიტუტმა შემოიტანა ახალი ფეიკი, რაც მანამდე არავის გაუბედავს. კერძოდ, ინსტიტუტმა სააკაშვილის პატიმრობის კანონიერებაშიც კი შეიტანა ეჭვი და მას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა. სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთა, მის მიერ გირგვლიანის მკვლელების შეწყალება და გელაშვილის წამების შეკვეთა იმდენად ცხადი დანაშაულებია, რომ აქამდე სააკაშვილის პატიმრობის უკანონობაზე ლაპარაკს არავინ კადრულობდა, თუმცა, როგორც ჩანს, „ფრი მიშას“ სპეცოპერაციის ავტორებისთვის პოლიტიკური მიზანი ყველანაირ უკადრებელ საშუალებას ამართლებს და მაკკეინის ინსტიტუტმაც ეს უკადრებელი სრულიად თავხედურად იკადრა.**

**ვხედავთ, რომ ამერიკული სპეცოპერაცია გლობალური „ომის პარტიის“ რიგითი აგენტის გადასარჩენად კულმინაციას აღწევს. უშუალო ამერიკულ რესურსებთან ერთად, მასში სრულად არიან ჩართული ევროპული, უკრაინული და მოლდოვური აგენტოკრატიის წარმომადგენლები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სპეცოპერაციის ერთადერთი მიზანი „ნაცმოძრაობის“ გაცოცხლება, რადიკალიზმის გაღვივება, ხელისუფლების გადატრიალება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნაა, აუცილებელია, ხელისუფლების ყველა შტომ ზეწოლას სათანადოდ უპასუხოს და სპეცოპერაციის წარმატებით განხორციელების საშუალება არავის მისცეს“.**

**„ხალხის ძალა“**

# მოღალატე ყველგან – ოჯახშიც და პოლიტიკაშიც მოღალატეა!



**„ქართული ოცნების“ გუნდის წევრობისას პრემიერი გიორგი გახარია ამბობდა: რომ მისთვის „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა პირდაპირ ივანიშვილზე გადის და სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა ის, რომ „ქვეყანამ, ბოლო 8 წლის განმავლობაში, მიაღწია სამართლიანობის დამკვიდრებას და ქართული პოლიტიკის ცენტრში, განსაზღვრა ადამიანი და მისი ღირსება“.**

წინასაარჩევნოდ დასმულ იგივე კითხვაზე კი ურთიერთგამომრიცხავი რამ უპასუხა: „ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლა“.

ამ სიტყვების შემდეგ იყო მისი დიდი შეცდომები, პოლიტიკური გაორისნება, საკუთარი ახლად შექმნილი პარტიული გუნდისადმი მოლოდინების ვერ გამართლება და პირდაპირი მნიშვნელობით, მათი უპატრონოდ დატოვება.

პოლიტიკაში მისი ეს ეპიზოდური როლები მისთვისვე დამღუპველი აღმოჩნდა.

მის მიერ სახელდახელოდ შექმნილმა პარტიამ მცირერიცხოვანი ამომრჩევლის ნდობაც დაკარგა და ამ პოლიტიკურ სიბნელეში ჩარჩენილ ნაპრემიერალს დღეს ხალხი სერიოზულად აღარც კი აღიქვამს.

რეალურად სად არის გახარია?! პოლიტიკაში თუ პოლიტიკის მიღმა?!

ამ კითხვებზე პასუხი რთული გასაცემია

თუმცა ფაქტია, რომ ის ლიდერიდან თვითმარქვია პოლიტიკოსად იქცა.

ფიგურად, რომელიც ისევ სტატუსად პრემიერის ჩრდილს ამოფარებული პოლიტიკურ სცენარში მოღალატედ ჩაიწერა. კაცი პრემიერ-მინისტრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთის დავალების შემსრულებლად იქცა!

მორიგი ახალი დავალება ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე საუბარია და პოლიტიკურად გაორონებულის პიროვნებაზე ისიც ენის მოჩლექით ალაპარაკდა.

„....ბიძინას თუ ჰგონია, რომ მოვიდა და თქვა, რომ მე წავედი პოლიტიკიდან... ის წავიდა იმისთვის, რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში და ამ მარიონეტების ხელით რასაც ახლა აკეთებს, აქ მისი პასუხისმგებლობა არ არის, ან ეს უპასუხისმგებლო პერსონალიზირებული არ იქნება, ძალიან ცდება“.

რა სამარცხვინოა! ასეთი უღირსის ადგილი პოლიტიკაში არ არის.

ვინც ჩააცვა, იმას გახადა!

ვინც კაცად აქცია და ნდობა გამოუცხადა, იმას უღალატა!

* * *

**მინაწერი: მოღალატე ყველგან მოღალატეა და არც მიკვირს, რადგან პრემიერობის დროს საკუთარ ცოლს გაშორებული (სხვებთან სირბილის გამო) ფასადურად, საიმიჯოდ ისევ მის მიერ მიტოვებულ ოჯახს ამოფარებული კამერების წინ საგანგებოდ ჩნდებოდა!**

**არ მითხრათ, პირადია და ნუ ეხებიო, ესაა ზუსტად ადამიანის მორალური მხარე და რეალური სახე.**

**ყველაფერში ფასადური პოლიტიკაშიც ფასადურია.**

**მოღალატე ყველგან, ოჯახშიც და პოლიტიკაშიც მოღალატეა!“ — წერს მეგრელიშვილი.**

**თამთა მეგრელიშვილი**

# ისტორიის სანაგვეზე გადასროლილი კიდევ ერთი მაზაკვალი

**„როდესაც „კანონიერი მოღალატე“, მედროვე და უმადურობის ეტალონი – გიორგი გახარია, ქვეყნის განვითარების ბოლო 30-35 წელიწადში დაშვებულ შეცდომებს და პასუხისმგებლობას მოქმედ ხელისუფლებას აკისრებს, ძნელია არ დაეთანხმო თუნდაც მასთან მიმართებით აღმოცენებულ გარემოებაში.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში “ექსპერტ“ ხუხაშვილის რეკომენდაციით ეს „დაბალი სოციალური საფასურის“ მქონე „ტროას სახედარი“ რანაირად აღმოჩნდებოდა დღეს თავის უზნეობის პიკზე?**

**როდესაც ქართველობაზე, კაცობაზე, ზნეობაზე ტესტ-ვერ-ჩამბარებელი ეს მერამდენე ექსპერიმენტალური ნიმუში, “პერსონალიზებული პასუხისმგებლობით“ ემუქრება ხელისუფლებას, რომელსაც მისნაირი უ-სამშობლო და ამორალური არარაობების მიერ დატოვებული „“ავგიას თავლების“ გაწმენდა უწევს მათ მიერ უხვად დატოვებული „განავალისაგან“ – მაინც ეკითხები საკუთარ თავს: ღირს კი ამ ერთპროცენტიან „პოლიტიკოსებს“ შენი დრო დაუთმო თუნდაც პასუხის გასაცემად?**

**მაგრამ ამაშია სწორედ ის უბედურება, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელით ნაგვიდან და ტალახიდან აღმოცენებული მოღალატეთა ეს ლეგიონი - დღეს ყველგან, საქართველოს გარდა, იმ “ბრენდებს“ წარმოადგენენ, რასაც ყოფილი პრეზიდენტი, პრემიერი თუ მინისტრი ჰქვია. და ამ ბრენდებს ამოფარებულები ისინი ურცხვად, უსინდისოდ იმ თავის გუშინდელ „მამა-მარჩენალს“ აგინებენ, ვისი წყალობითაც – თუნდაც ბრენდის სახით, დღეს ხმის ამოღების უფლება მოიპოვეს.**

**საქართველოში განვითარებული ღალატის ამ არნახული ბაქქანალიის ფონზე, არაკაცობის და ზურგში დანის ჩარტყმის 30-ვერცხლიანი საფასურიც აღარ მგონია ნომინალად ითვლებოდეს. აშკარად გაუფასურდა! ვერც იუდა ისკარიოტელთან მივლენ ახლოს, რომელსაც შემორჩენილი სირცხვილის უკანასკნელმა წვეთმა უკარნახა – რაც უნდა გაეკეთებინა ღალატის შემდეგ. გახარიას ამის „ერთი ადგილი“ საიდან? საქართველოს ისტორიის სანაგვეზე გადასროლილი კიდევ ერთი მაზაკვალი...“**

**დავით ქართველიშვილი**

# „გამფლანგველი“ ფიგურა არც დასავლეთს უნდა და არც სხვა პოლიტიკურ ძალებს“

ჩირგვებიდან უეცრად გამომძვრალი ექს-პრემიერი **გიორგი გახარია** ბიძინა ივანიშვილს აფრთხილებს: **„არავის ეგონოს, რომ პასუხისმგებლობა პერსონალურად არ შეეხება, ხოლო მისი „მარიონეტული“ ბიჭების მეშვეობით ჩადენილ დანაშაულზე პასუხს არავინ მოსთხოვს“.**

**რატომ გადაწყვიტა მაინცდამაინც ქართული პოლიტიკიდან გამქრალმა ყოფილმა პრემიერმა მოულოდნელი გამოჩენა, ბუნებრივია, კითხვებს ბადებს. მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ გახარია ევროპარლამენტარების თვალში ცდილობს „კაცად“ გამოჩნდეს. არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი მაშინ დაიწყო, როცა ჩათვალა, რომ პოლიტიკურად მისთვის მომგებიანი იქნებოდა. ზურგში დანის ჩარტყმა იმ ადამიანისთვის გადაწყვიტა, რომელმაც პოლიტიკაში არსაიდან მოიყვანა და კაცად აქცია.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ ბოლოს ჩატარებული ყველა კვლევის მიხედვით, გიორგი გახარიას პარტიას პოლიტიკური პულსი აღარ ესინჯება. ამიტომ ცდილობს რამენაირად ყურადღება მიიქციოს, ამით კი დასავლეთის მხარდაჭერა მოიპოვოს. აბაშიძე ვარაუდობს, რომ გახარია ცდილობს ოპოზიციის მიერ წამოწყებულ ფართომასშტაბიან კამპანიას შეუერთდეს და სიმულიანტ სააკაშვილს მხარდაჭერა ამ ფორმით გამოუცხადოს.

**„ჩირგვებში ჩამალულმა გახარიამ, ეტყობა, იფიქრა, ახლა სააკაშვილის მხარდაჭერა ჩემთვის მომგებიანი იქნებაო და თავი გამოყო. თუმცა გახარია და მისი თანაგუნდელები საკუთარი განცხადებებით ამტკიცებენ, რომ სააკაშვილის რევანშისტური პარტიის მხარეს არიან. მათი მესიჯბოქსი ნაციონალების დღის წესრიგსაა მორგებული. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან გახარია, როგორც პოლიტიკოსი, „ოცნების“ გუნდმა შექმნა და ამ გუნდს ძალიან მწარედ უღალატა. არა მხოლოდ ხელისუფლებას უღალატა, არამედ მმართველი გუნდის ათიათასობით ამომრჩეველს. საქართველოს პოლიტიკაში ღალატს მიჩვეულები ვართ.**

**თუმცა გახარიას ქეისი უნიკალურია. კაცი, რომელიც არსაიდან მოვიდა და ამომრჩეველმა შეიყვარა, ბოლო მომენტში, როცა ქვეყანას სჭირდებოდა, უღალატა. გახარია არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია. მას ე.წ. მესამე ძალის რესურსი არა აქვს, ამიტომ ჩათვალა, რომ ახლა სააკაშვილის დაცვა მოდური ტრენდია და თავადაც არ უნდა ჩამორჩეს. მანაც ივანიშვილზე უზნეო თავდასხმა და ხელისუფლების დამუნათება დაიწყო. ეს ყველაფერი გახარიას პოლიტიკურ სიმპათიებს ვერ მოუტანს. პირიქით, როგორც იმედი გაუცრუვდა ხალხს მამუკა ხაზარაძეზე, ასეთივე დღეში არიან გახარიას მიმართაც. მისი პოლიტიკური მომავალი ძალიან საეჭვოა, თუკი საერთოდ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მიაღწევს“.**

მისივე თქმით, პოლიტექნოლოგიურად რომ შევხედოთ, თუნდაც ვარდების რევოლუციამდე და შემდეგაც, დასავლეთის პოლიტიკური აქტორები და ცნობილი სოციოლოგიური კვლევები აძლიერებენ იმ ადამიანს, რომელიც მათთვის სასურველია. თუმცა აბაშიძე ფიქრობს, რომ გახარიას დასავლეთიდან ამ დონის მხარდაჭერა არ აქვს, რადგან მას არ ჰყავს ის ქარიზმატული გუნდი, რომელიც თავის დროზე ნაციონალებს ჰყავდათ. ასევე არ არის ისეთი გუნდი და ლიდერი, როგორიც 2012 წელს „ოცნებას“ ჰყავდა. ამიტომ გახარიაზე დასავლეთში ფსონი არ დაიდება და ეს მხოლოდ ყურადღების მისაქცევი განცხადება იყო, რადგან ვიღაცამ ურჩია, რომ რეიტინგი უვარდება და სჯობს რამე თქვას.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** ვარაუდობს, რომ გიორგი გახარიას ეს განცხადება მხოლოდ იმისთვის იყო გაკეთებული, რომ საზოგადოების და მედიის ყურადღება მიიქციოს. საყვარელიძე ამბობს, რომ გახარიამ მის ხელთ არსებული პოლიტიკური რესურსი ტყუილად და არაფერში გაფლანგა, ამიტომ ახლა გასაკვირია რისი იმედი აქვს, მით უმეტეს მისი მხარდამჭერები ანტიმიშისტები არიან, რომლებიც გახარიას ამ განცხადების შემდეგ მხარს აღარ დაუჭერენ.

**„გიორგი გახარია დასავლეთიდან მხარდაჭერით რომ სარგებლობდეს, მაშინ უფრო ხშირად იაქტიურებდა. ქართულმა პოლიტიკამ უკვე ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პერიოდი გაიარა და გახარიამ ეს დრო სრულიად არაფერში გაფლანგა. გახარია პიროვნულად მომგებიანი ტიპაჟია, მაგრამ მიკვირს თავად ეს შესაძლებლობა რატომ არ გამოიყენა. მისი ეს უცნაური გაუჩინარება, დუმილი და პოლიტიკური პროცესებიდან დისტანცირება აზიანებს. მან თავისი პოლიტიკური მიმზიდველობა გაფლანგა, ამიტომ ასეთი ფიგურა არც დასავლეთს უნდა და არც ქვეყნის შიგნით სხვა პოლიტიკურ ძალებს სჭირდება. მით უმეტეს მას ე.წ. მესამე ძალის შექმნის პრეტენზია ჰქონდა.**

**ჩემთვის სრულიად გაუგებარი მოვლენაა გახარიას ფენომენი ქართულ პოლიტიკაში და სრულიად მიუღებელი, რადგან მან მესამე პოლიტიკური ძალის შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. მან საკმაოდ მაღალი რეიტინგით დაიწყო, მაგრამ მალევე გაანიავა და ქართულ პოლიტიკურ სპექტრს განვითარების საშუალება მოუსპო. ძლიერი პოლიტიკური ძალები ქვეყანაში რაც უფრო მეტი იქნება, პოლიტიკური ცხოვრება მით უფრო გაჯანსაღდება – გახარიას ერთ-ერთი ცოდვა სწორედ ეს არის. გახარიას ნათქვამი სიახლეს არ შეიცავს, ის ნაციონალების ნარატივს იმეორებს, რაც „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს. ხელისუფლებას უადვილდება იმის დაჯერება ამომრჩევლისთვის, რომ ის ნაცების ფიგურა იყო“,** — ამბობს საყვარელიძე.

# სიცოცხლის სათავეების ძიებაში

**„გეოლოგიური ფენების საიდუმლო ამოხსნილია: როგორც ჩანს, მათში აისახა წარღვნის პროცესში სახეობების ჩამარხვის თანმიმდევრობა და სულაც არა მათი წარმოშობის რიგითობა. წყლის, სანაპიროსა და ზარის არსებები ჩამარხულ იქნენ თითოეული თავის ეკოლოგიურ ზონაში, თავის სიმაღლეზე, ქმნიდნენ რა წყლიდან ხმელთზე ევოლუციის ხილვადობას. ეს სიცოცხლის ევოლუციური წარმოშობის თეორიის სრული კრახია!“** – ასეთია პროფესორ ა. თავართქილაძის უაღრესად მკაცრი განაჩენი არა მარტო დარვინის ისედაც საკმაოდ შერყეული კონცეფციის მიმართ, არამედ არც მეტი, არც ნაკლები, ერთიანად გეოლოგიური მეცნიერებისთვის, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოდ მიგვაჩნია, თუმცა რადგან წინამდებარე მასალის მიზანი წიგნის „სიცოცხლე: ბიოლოგია, ეზოთერიკა თუ ორივე ერთად... „კრიტიკული გარჩევა არ წარმოადგენს, მოდით, მივყვეთ ავტორის მსჯელობას, რომელიც ერთგვარი დასკვნის სახით არსებობს: **„გეოქრონოლოგიური შკალის აგების ძირითადი პრინციპი აღმოჩნდა არასწორი“. მისი წარმოდგენით, „წარღვნისმიერი ნალექების ზედა საზღვარი მერყეობს ქვედა მეზოზოური ერიდან კაინოზურამდე: წყალი თანდათან ტოვებდა ხმელეთს. ნალექი ფენები თანამედროვე ზღვების ფსკერზე წარმოიქმნა უპირატესად წარღვნის შემდეგ (ისინი არ არიან მეზოზოურ ფენებზე უფრო მეტი ხნის), და მათში სიცოცხლის ფორმების შრეობრივი მოწესრიგებულობა განპირობებულია სხვა მიზეზით – პლანეტის კლიმატის შეცვლით ცხელი წარღვნამდელიდან თანამედროვემდე“.**

გეოლოგებისთვის ცნობილია, რომ უფრო ძველი ქანები ახლების თავზეა მოქცეული, რაც მძლავრი ტექტონიკური მოვლენების შედეგია, თუმცა კი ავტორი ასეთ ახსნას „მოუხეშაოს“ უწოდებს: **„ჩვენ არ გვაქვს უფლება სტრატეგგრაფიის მთელი მეთოდოლოგია დავაფუძნოთ ისეთ არამტკიცე საფუძველზე, როგორიცაა ევოლუციის თეორია“.**

შედარებითი ანატომიისა და პალეონტოლოგიის დამაარსებელი ჟ. კიუვიე, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში **„დედამიწის ისტორიას განუწყვეტლად უკავშირებდა საღვთო წერილის სიტყვებს სამყაროს შექმნის შესახებ“.**

ბიბლიური წარღვნის დამადასტურებელი არგუმენტებია, თავართქილაძის აზრით, დედამიწაზე მრავლადაა, მათ შორის ოქროს შემცველელი ქვიშრობების წარმოქმნა, მთელ რიგ გეოლოგიურ წყებაში მცენარეული მტვრისა და სპორების საგრძნობი სიმცირე, ოკეანის ფსკერის ქანებში მათი არსებობა და სხვ.

კვანტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მაქს პლანკის აზრით, **„...საითაც არ უნდა მივმართოთ მზერა, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დაკვირვების საგანი, ჩვენ ვერსად ვერ ვპოულობთ წინააღმდეგობას მეცნიერებასა და რელიგიას შორის, ჩვენ უფრო ვახდენთ მათი სრული ჰარმონიის კონსტატირებას ძირითად ასპექტში, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების დარგში“.**

პროფ. ა. თავართქილაძე შორეულ გეოლოგიურ წარსულში დედამიწაზე ფლორისა და ფაუნის გიგანტური წარმომადგენლების გაჩენის საკითხით ინტერესდება და კითხვას სვამს – რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენს ეპოქაში ასეთები არ ჩნდებიან?

დასასრული. დასაწყისი იხ. №184, 186, 187, 190

გეოლოგიურ წარსულში, დედამიწის კლიმატი გაცილებით თბილი იყო – ზამთარი ზაფხულისგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდებოდა, რასაც ხეებში წლიური რგოლების პრაქტიკულად არარსებობა მოწმობს. ატმოსფერო წყლის ორთქლით იყო გაჯერებული, პლანეტა უფრო დიდ სათბურს ჰგავდა.

მრავალი წარღვნამდელი არსება უაღრესად ძლიერი იყო და დიდხანსაც აღწევდნენ, მათ შორის, ადამიანიც. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ბევრნი 800-900 წლამდე ცოცხლობდნენ. თუკი ძველი ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობას კოორდინატთა სისტემაში მოვაქცევთ, აღმოჩნდება წარღვნის შემდეგ ამ მაჩვენებლის შემცირების მეტად შთამბეჭდავი გრაფიკი.

ავტორის აზრით, ამის მიზეზი შესაძლოა, წარღვნამდელ ატმოსფეროში, მზის გამოსხივების ზემოქმედებით, წყლის მოლეკულებიდან გამოყოფილი ოზონის დამატებითი ფენა ყალიბდებოდა. წყლის ორთქლისა და ოზონისგან შემდგარ ასეთ ბუნებრივ ეკრანს კი შეეძლო მავნე კოსმოსური გამოსხივებისგან დაცვა, რასაც იქნებ ხელი შეეწყო ცოცხალი ორგანიზმების დიდი ზომებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის უზრუნველყოფა, თუმცა კი გენეტიკოსები ამ მოსაზრებას საეჭვოდ მიიჩნევენ. ამდენად, ამ კითხვაზე პასუხი დღისდღეობით **„მხოლოდ საღვთისმეტყველო მემკვიდრეობაშია“,** როგორც ამაში დიდი ფიზიკოსი ჯ. ტომსონი გვარწმუნებს.

ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობამ იკლო იმის გამო, რომ საჭირო გახდა მისი განწმენდა, რაც სიკვდილის დროის მოახლოებამ განაპირობა. ადამიანი გაცილებით უფრო **„თავქარიანად იცხოვრებდა“** (ა. თავართქილაძე), თუკი მას **„კარგი ჯანმრთელობა და ათასწლოვანი სიცოცხლე, მით უმეტეს უკვდავება“** ექნებოდა. ჩვენი ხრწნადი სხეულის დროებითი სიკვდილი – ზღუდეა ცოდვისთვის, თავისებური აცრაა სულის სამუდამო სიკვდილის წინააღმდეგ. შესცოდა პირველმა ადამიანმა – და გახდა მოკვდავი. **„შეცოდებები გამრავლდნენ წარღვნამდელ კაცობრიობაში – და სიცოცხლის ხანგრძლივობა წარღვნის შემდეგ შემცირებულია შემქმნელის მიერ ასჯერ, ხოლო ადამიანების გარემომცველი არსებების, როგორც ადამიანისთვის შექმნილი არსებების სიცოცხლე, დაყენებულია შემქმნელის მიერ თვით მეფე-ადამიანის სიცოცხლის შესაბამისად. შესცოდა ადამმა – და ყველა მხეცი გახდა მოკვდავი და ხრწნადი, ცოდვებში ჩაიძირა წარღვნამდელი კაცობრიობა – და შემცირდა სიცოცხლის ვადები და როგორც ადამიანის, ისე ცოცხალი ორგანიზმების ფიზიკური სიძლიერე. სიცოცხლის შემცირების ბიოლოგიური მექანიზმები შეიძლება ყოფილიყო სრულიად სხვადასხვა. მაგალითად, მავნე მუტაციების დაგროვების სიჩქარის ზრდა“,** – ამბობს მეცნიერი, რის შემდეგ კიდევ ერთი, უაღრესად საგულისხმო საკითხის განხილვას უდგება – „თუ როგორ წარმოიქმნა თანამედროვე კაცობრიობა სულ რაღაც 5500 წელიწადში ნოემ ოჯახთან (რვა ადამიანთან) ერთად?“




ამოსავალ წერტილად, პროფ. ა. თავართქილაძე მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიას იღებს, სადაც ორი საშინელი მსოფლიო ომის გათვალისწინებით, მოსახლეობის საშუალო მატებამ წელიწადში სულ 0,5% შეადგინა. **„გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ ასეთი მინიმალური ციფრიც კი, დიდი მარაგით საშუალებას აძლევს კიდობანის რვა მინადარს გამხდარიყო მთელი თანამედროვე კაცობრიობის წინაპარი!“,** – ასკვნის მკვლევარი.

ახლა რაც შეეხება ნოეს კიდობანში ცოცხალ ორგანიზმთა ფიზიკურად დატევის საკითხს, რათა ისინი თანამედროვე ფლორისა და ფაუნის საფუძველი გამხდარიყვნენ: **„როგორც ცნობილია, კიდობანის ზომები იყო 150:25:15 მეტრი. წყალში ნახევრად ჩაძირული კიდობანის წყალწყვა შეადგენდა 20 ათას ტონას, გემბანის ფართობი 9300 კვადრატულ მეტრს, მოცულობა – 43 ათას კუბურ მეტრს. ეს პარამეტრები 600 სარკინიგზო ვაგონის ეკვივალენტია! თანამედროვე ნორმებით, წვრილფეხა საქონლისთვის (არსებები შეიძლება წაეყვანათ სულ ახალგაზრდა, ხოლო დინოზავრების ნაცვლად საკმარისი იყო წაეღოთ მხოლოდ კვერცხები), თითოეულ ასეთ ვაგონში თავსდება 240 ცხოველი. სულ რამდენი ცხოველი იყო საჭირო? დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმების დაახლოებით 1.075.100 სახეობაა,“** – აცხადებს მეცნიერი და შემდეგ ზღვის ბინადართა ჩამონათვალი მოჰყავს სახეობათა მიხედვით, რომელთაც თავისთავად „გადარჩენა“ არ სჭირდებოდათ, რის შედეგად, მისი ანგარიშით, „რჩება დაახლოებით 30 ათასი ცხოველი, რომლებმაც მხოლოდ მეოთხედით შეავსეს კიდობანი“, ამდენად, სურსათისა და მცენარეთათვის კიდევ ბევრი ადგილი რჩებოდა.



ხანგრძლივმა წვიმამ ატმოსფეროდან დიდი ოდენობით გამორეცხა ნახშირორჟანგი, მაშასადამე, შეასუსტა სათბურის ეფექტი და შეამცირა საშუალო ტემპერატურა. ამდენად, **„კლიმატის მკვეთრი ცვლილება წარღვნის შემდეგ წარმოადგენს გასაღებს ძველი პლანეტის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში უეცარი ცვლილებების ამოსახსნელად“,** – ასკვნის პროფესორი ა. თავართქილაძე.

ამდენად, საღვთო წერილში ევოლუციის შეუძლებლობა დასაბუთებულია ძალზე ნათლად, რადგან სიკვდილი და ხრწნა არ არსებოდა თვით ადამის ცოდვით დაცემამდე.

* * *

**უძველესი მაგიური დოქტრინათკა ყველა სიცარიელე თავისკენ ყოველივეს იზიდავს, რაც მას შეავსებს. ამდენად კაცი არ უნდა იყოს უსაქმოდ, არ უნდა დატოვოს საკუთარ თავში თავისუფალი სივრცე, რათა მასში უვარგისი და მავნე ფიქრები არ შეიჭრას, ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა ის უნარი, რაც შემოქმედმა მას უბოძა!**

ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა შევასრულოთ ამქვეყნიური მისია და მუდამ გვახსოვდეს, რომ „ყველა ოსტატი თავიდან შეგირდი იყო“.

**„ადამიანი არის ღვთაებრივი სილამაზის ნიმუში და სულიერ ეონში სხეული კოსმოსის ყველა ელემენტს შეიცავს, ამიტომაც მეცნიერულად მიკროკოსმოსი ეწოდა სწავლულთა მიერ, ხოლო სული – სულიერ ნათლის სხივია, ზეცის ნაწილი, ღმერთის ბაგეთა იდუმალი სუნთქვა. ადამიანი, როგორც სულიერი და ფიზიკური არსება, ორ სამყაროს მიეკუთვნება. ის უნდა გამხდარიყო შემაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და კოსმოსს შორის, რათა მასში და მისი მეშვეობით მომხდარიყო მატერიის განსულიერება“,** – ასკვნის მკვლევარი და აქვე სვამს კითხვას, რომელსაც მერე თავადვე სცემს პასუხს: **„თუკი სამყაროს სახეცვლილება ადამიანის სახეცვლილებასა და აღდგომაზეა დამოკიდებული, მაშ რაღად შექმნა უფალმა რამდენიმე მილიარდი სამყარო, რომლებსაც ვერასოდეს იხილავს ადამიანი, თანაც სამეფო ადგილი არ მიგვიჩინა, სამყაროს ცენტრში, არამედ მის ერთ კუთხეში დაგვასახლა?“ აი, ეს პასუხიც: „ჯერ ერთი, დედამიწა სამყაროს სულიერი ცენტრია, რამეთუ ქრისტე გარდამოვიდა აქ და ხორცი შეისხა, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, გოლგოთის მსხვერპლის მნიშვნელობა მაინც არ დაკნინდებოდა, რადგან სწორედ დედამიწაზე ეცვა ქრისტე ჯვარს და დათრგუნა სიკვდილი. აი, აქ გადაწყდა მთელი კოსმოსის ბედი.**

**ადამიანის აღდგომა არის არა მიწიერი ცხოვრების გამეორება, არა რეანიმაცია, არამედ სხვაგვარ არსებობაში გადასვლა. სხეული შეიძენს ახალ თვისებებს – აღარ იქნება დროისა და სივრცის მონა, ადამიანი ერთიანი სულიერი ჭვრეტით იხილავს ღმერთის ნათლით სახეცვლილ სამყაროს, როგორც ღმერთის მიერ შექმნილ საკვირველ სურათს“.**

ხოლო თუკი ყოველივე ამის არ გჯერათ, მაშინ სცადეთ და პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს, გვთავაზობს პროფ. ა. თავართქილაძე:

**„1. საიდან წამოვიდა პირველი სინათლე? რა არის ფოტონების პირველწყარო და რამდენად უსასრულოა მათი მოძრაობა?**

**2. სად იწყება და მთავრდება სამყარო და თუ უსასრულობაა, მაშასადამე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ აღვიქვამთ ამ ფენომენს ყოვლისშემძლე მატერიალიზმით და ჩვენს ზემოთ დგას კიდევ ვიღაც, რომელიც ამას მართავს.**

**3. ბიოლოგებმა და ექიმებმა წარმოვიდგინოთ, როცა ვსაუბრობთ, თუ რა სიჩქარით ვამბობთ წინადადებებს და ამ დროს ვქმნით სიახლეებს, ახალ იდეებს, აზრებს. ნორმალურ ფიზიოლოგიაში ასეთი სიჩქარით არც ერთი ბიოქიმიური რეაქცია არ მიმდინარეობს...“**

და ასეთი უპასუხო კითხვები მრავლადაა, თუმცა კი ყველა მათგანს პასუხს მეცნიერი უდიდესი ფიზიკოსისა და ასტრონომის იოჰან კეპლერის სიტყვებით სცემს:

**„ვიდრე დავტოვებდე მაგიდას, რომელთანაც ყველა ჩემი კვლევა განვახორციელე, დამრჩენია მხოლოდ მზერაც და ხელებიც აღვაპყრო ზეცისკენ, რათა მადლიერება შევწირო სამყაროს შემქმნელს მისი ჩემდამი შემწყნარებლობისთვის“.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძე

# პაატა ნაცვლიშვილი

# პერფექციონისტის შთანახატები




## თბილისის უნივერსიტეტის რექტორებისა და რექტორობისა

**დაარსებიდან მოყოლებული, თბილისის უნივერსიტეტს 29 რექტორი ჰყავდა. 27 დეკემბერს 30-ე რექტორს აირჩევენ. კანდიდატი ერთადერთია – აკადემიკოსი ჯაბა სამუშია.**

მოხდა ისე, რომ თბილისის უნივერსიტეტის რექტორთა უმეტესობას პირადად ვიცნობდი – ორგზის რექტორის ილია ვეკუას და უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის ალექსანდრე ჯანელიძის ჩათვლით. ორი რექტორის პერიოდში სტუდენტი ვიყავი, ერთი მათგანის რექტორობისას უნივერსიტეტის გაზეთში ვმუშაობდი, როცა ნიკო კეცხოველთან ინტერვიუზე გამაგზავნეს რედაქციიდან. სამ სხვა რექტორთანაც მომიხდა თანამშრომლობა, როგორც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორს და ჟურნალისტიკის სახელოსნოს ხელმძღვანელს, ერთმა ამათგანმა მთლად ჩარეცხილებში ვერ გამიყვანა, მაგრამ უნივერსიტეტიდან კი გამაძევა, ჩემი უნივერსიტეტიდან.

როგორი რექტორი არ უნახავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს! მის რექტორთა ბიოგრაფიების მაგალითზე დაკვირვებულმა ადამიანმა საქართველოს ისტორიას შეიძლება გაადევნოს თვალი მთელი საუკუნის მანძილზე.

ბევრჯერ მიფიქრია, თუ როგორი უნდა იყოს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი. კიდევ ერთხელ დავფიქრდი ამაზე 22 დეკემბერს, როცა თბილისის უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ თავისი ახალი წიგნები წარმოადგინა.

ერთი გახლავთ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული „საისტორიო ძიებანი“, ხოლო მეორე „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, რომელიც „პალიტრა L“-მა გამოსცა.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა იმ დღეს ამ წიგნებისა და მათი ავტორის შესახებ. წიგნების პრეზენტაციაზე შეიკრიბნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის თავკაცობით, აქ იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის რექტორები, სტუდენტები.

თან ვუსმენდი გამოსვლებს და თან ჩემთვის ვფიქრობდი: თბილისის უნივერსიტეტის რექტორობა არ არის მხოლოდ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა და არც მხოლოდ განათლებისა თუ მეცნიერების სფეროთი შემოიფარგლება. თბილისის უნივერსიტეტი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინსტიტუციაა ქართულ ეკლესიასთან ერთად და თბილისის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა დიდი ეროვნული სამოღვაწეო ასპარეზია, ხოლო უნივერსიტეტის რექტორს დიახაც ეროვნული მოღვაწის ძალისხმევა და თავდადება მართებს.

არაერთხელ დამიწერია: მოღვაწეობა სხვაა, საქმიანობა, რაგინდ ხანგრძლივი და სასახელო – სხვა. სიტყვა „მოღვაწეობას“ მეტად უნდა ვუფრთხილდებოდეთ, უფრო იშვიათად უნდა ვიყენებდეთ. როგორია, რომელიმე ჟურნალისტი რომ დაწერს ან იტყვის, ამა და ამ სპორტსმენმა უცხოეთში გააგრძელა მოღვაწეობაო! სპორტსმენი კი არა, მათი სახელისგან განუყრელი ამ ზედსართავის მიუხედავად, ბევრი ამთაწმინდებული მწერალიც კი არ ყოფილა საზოგადო მოღვაწე, ამ სიტყვის სრული და ზუსტი მნიშვნელობით.

როგორ არ გავიხსენო აქ კიდევ ერთხელ უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილისა და პროფესორთა საბჭოს მდივნის აკაკი შანიძის ხელმოწერით 1921 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი წერილი, რომლითაც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს თავის იმდღევანდელ გადაწყვეტილებას ამცნობს:

*„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუბჯოებსოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.*

*უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებათათვის“.*

სხვათა შორის საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს სხვადასხვა კუთხით იმ დღეს წარმოდგენილ თავის ორივე ახალ წიგნში ჯაბა სამუშიაც ეხება.

არა რა! თბილისის უნივერსიტეტის რექტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი უნდა იყოს! ასეთი გახლდათ დიდი ივანე ჯავახიშვილი – უნივერსიტეტის მესაძირკვლე, ვის სახელსაც ატარებს დღეს უნივერსიტეტი. ასეთია აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელიც ურთულეს პერიოდში – ათასწლეულთა მიჯნაზე ღირსეულად უძღვებოდა თბილისის უნივერსიტეტს. ასეთია აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელიც არანაკლებ რთულ პერიოდში – ამიერიდან ჩაიბარებს უნივერსიტეტს.

და თუ მოხდება ისე, რომ უნივერსიტეტის რექტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი კი არა, ვთქვათ, ქიმიკოსი, გეოლოგი, ბოტანიკოსი ან მათემატიკოსი იქნება, იგი ისეთი უნდა იყოს, როგორებიც პეტრე მელიქიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო კეცხოველი ან ილია ვეკუა ბრძანდებოდნენ, რომელთაც მშვენივრად იცოდნენ საქართველოს ისტორია და თავადაც იყვნენ ამ ისტორიის არაერთი სასახელო ფურცლის შემოქმედი.

22 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში უნივერსიტეტის მომავალი რექტორის ჯაბა სამუშიას წიგნების პრეზენტაციას მისი ერთ-ერთი წინამორბედი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი უძღვებოდა. მან ჯაბას სტუდენტობის წლები გაიხსენა, როცა იგი სხვა სტუდენტებთან ერთად სტუდენტ ისტორიკოსთა ჟურნალ „არტანუჯს“ უშვებდა. ჩემს ბიბლიოთეკაში მე ამ ჟურნალის ყველა ნომერი მაქვს. ისევე როგორც მაქვს ყველა ნომერი ჟურნალისა „ისტორიანი“, რომელსაც სულ პირველი ნომრიდან მოყოლებული, აგერ უკვე მე-12 წელია *რედაქტორობს* ჯაბა სამუშია. ის კი არა, ამ ჟურნალში ჩემი არაერთი წერილი გამოქვეყნებულა და მიმაჩნია, რომ „ისტორიანთან“ და მის მაღალკვალიფიციურ სარედაქციო ჯგუფთან მუშაობა დიდად სასიამოვნო და კომფორტულია ჩემისთანა მრავალი ინტერესის მქონე ავტორისათვის.

ჯაბა სამუშიას წიგნებს რაც შეეხება, ისინიც ბევრი მაქვს, რა თქმა უნდა, თუმცა სამწუხაროდ, ყველა არა, – ის უფრო მეტი ინტენსიურობით გამოსცემს წიგნებს, ვიდრე მე მათთვის თვალის მიდევნება ან წაკითხვა შემიძლია. მაგრამ მაქვს მისი საერთო ხელმძღვანელობით მომზადებული მრავალტომეული „საქართველოს ისტორიის პალიტრა“, რომლის გამოცემა ჯერ არ დამთავრებულა. მაქვს აგრეთვე მისი საერთო რედაქციით გამოსული საქართველოს ისტორიის ილუსტრირებული ხუთტომეული, რომელიც ადრე რომ მქონოდა, უფრო მცოდნე და გამორჩეული მოსწავლე ვიქნებოდი სკოლაში. მონოგრაფიებზე და მეფეთა სერიაზე და სხვა მრავალზე ახლა არაფერს ვამბობ.

წიგნთა და საქმეთა ეს ამხელა მოსავალი ერთი კაცისთვის ცოტა არ არის. მით უმეტეს, რომ ჯაბა სამუშია ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, თუმცა უნივერსიტეტის რექტორის ვეება ტვირთმოკიდებული, წიგნების წერისა და ჟურნალების რედაქტორობისათვის, როგორც იმ დღეს ერთმა გამომსვლელმა უთხრა კიდეც, იგი აგრერიგად ვეღარ მოიცლის. ვეღარც რადიო-ტელევიზიისთვის მოიცლის, სადაც მუდამ სასურველი სტუმარი თუ მასპინძელი გახლავთ და ვეღარც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის, რომლის გენერალური დირექტორის პოსტიც ამ ცოტა ხნის წინ დატოვა.

და რა კარგი და რა საიმედო ამბავია, რომ თბილისის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რექტორობის კანდიდატი და ხვალიდან უკვე რექტორი უნივერსიტეტში თავის საქმიანობას, უფრო სწორად – მოღვაწეობას, საქართველოს ისტორიის თემატიკაზე დაწერილი თავისი ორი წიგნის პრეზენტაციით(აც) იწყებს.

## კითხვა-პასუხისა-2

**სულ ვეუბნები ჩემს სტუდენტებს, – კითხვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პასუხი-მეთქი. ხშირად კითხვაში უფრო ჩანს ადამიანის ცოდნა-არცოდნა, ვიდრე პასუხში.**

ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ეროვნულ არქივში შევესწარი: ერთი პატივცემული პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და მთელი ამბავი, არქივის თანამშრომლის მიტანილი ვეება საქაღალდე რომ გახსნა და გადაათვალიერა, – გაოცებული კითხულობს:

– თქვენთან ძველი დოკუმენტებიც ინახება?

ან თუნდაც ამასწინანდელი სასამართლო სხდომა. თარჯიმანმა, რომელმაც ასაკიდან გამომდინარე, ინგლისური და კომპიუტერი მაინც ჩარეცხილებზე უკეთ უნდა იცოდეს, ისეთი რამ დააზუსტებინა მოწმეს, სირცხვილისგან ლამის ტელევიზორი გამოვრთე.

რომელ საათზე ნახეო, – ინგლისურენოვან მოწმეს ჰკითხეს, რაღაც შეხვედრის თაობაზე.

9 AM – იმანაც.

დილისო? – ეს ჩაეკითხა.

ჰო, დილისო! – იმან უკვე შეუღრინასავით, – თარჯიმანი ხარ თუ თხადაგიგოო!

სასამართლოს თარჯიმანმა კი არა, ინგლისურის არმცოდნე ნებისმიერმა კლერკმა იცის (უნდა იცოდეს!) რომ ეიემ (AM) საათთან მიმართებით დილის საათებს ნიშნავს, ღამის 12-დან შუადღის 12-მდე, ხოლო პიემ (PM) – საღამოს საათებია, შუადღიდან შუაღამემდე.

ამის ცოდნა დღევანდელი კომუნიკაციის პირობებში წერა-კითხვის მცოდნე ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. ხოლო ის კი შეიძლება არ იცოდე, რომ AM აბრევიატურაა ლათინური ტერმინისა antre meridiem – შუადღის წინ, ხოლო PM შესაბამისად აბრევიატურა გახლავთ მეორე ლათინური ტერმინისა post meridiem – შუადღის შემდეგ. მიხარია, რომ ჩემმა სტუდენტებმა ესეც იციან, ყოველი შემთხვევისთვის, თუმცა მე მათ ინგლისურს არ ვასწავლი.

## ლაშა გახარიას პირველი და სხვა კრებულებისა

**ლაშა გახარიას ერთტომეული გამოსულა და გულით გავიხარე. „პოეტი მაინც ერთი ლექსია“ – ასე ჰქვია ამ წიგნს. ყველას გირჩევთ, თუ სადმე შემოგანათებთ, წაუკითხავი არ გაუშვათ! გამომცემლობა „ივერიონს“ უზრუნია ამ კეთილ საქმეზე ავტორის მეუღლესთან, როზა ბერიკაშვილთან ერთად. გამოცემა, როგორც რედაქტორ-გამომცემელი წიგნის ფეისბუქ-წარდგინებაში წერს,**




**ახალგაზრდა მუხურელ ქალბატონს ელენე ახალაიას დაუფინანსებია. დიდი მადლობა ქალბატონ ელენეს.**

რედაქტორ-გამომცემელს ფბ-პოსტში სრულად მოჰყავს თავისი წინასიტყვაობა ამ ერთტომეულისათვის რამდენადმე მანერული სათაურით: „ლაშამ უგემოვნო პოეზიას სილა გაულაწუნა“. წინასიტყვაობაში იგი დაწვრილებით იხსენებს, როგორ გაიცნო ლაშა, როგორ აღმოაჩინა მისი პოეზია და როგორ გამოსცა მისი რამდენიმე წიგნი, ზოგი სახელდახელოდ და ზოგიც რუდუნებით.

*„ამ ხუთიოდე წლის წინ, როცა ლაშა გახარიასადმი მიძღვნილ სახელდახელო კრებულზე ვმუშაობდით, წიგნს სათაურად „ლაშა გახარია – ქართულ პოეზიაში მოვარდნილი გრიგალი“ დავარქვი...*

*პრაქტიკულმა შეხებამ, მის პოეზიასთან 2002 წელს მომიწია, როცა ლაშას მომცრო პოეტურ კრებულზე: „99 და... ერთი“ ვმუშაობდით, ქალბატონ ლია ნაროუშვილის რედაქტორობით, რომელმაც თავის დროზე დიდი ამაგი დასდო ლაშას პოეტური მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. წიგნი ჩემს გამომცემლობაში მომზადდა და ჩემივე ხელდასხმით დაიბეჭდა. სწორედ მაშინ გავუგე პირველად „გემო“ ლაშა გახარიას „ობლის ცრემლივით“ პოეზიას!..*

*ლაშას გარდაცვალების შემდეგ, დიდი რუდუნებით ლია ნაროუშვილთან ერთად გამოვეცით კიდევ ერთი კრებული სახელწოდებით: „წაშლილი ღამე“...*

*სწორედ, ამიტომაც, იგი, როგორც ორიგინალური ხელწერის ლირიკოსი, საზოგადოებამ მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში გაიცნო. სამწუხაროა, რომ იგი სიცოცხლეში მხოლოდ ორად-ორი, სახელდახელოდ აკინძული კრებულის გამოცემას მოესწრო...*

*დიახ, ლაშა დაუდევარი აღმოჩნდა საკუთარი შემოქმედების მიმართ. რომ არა მისი მეუღლის – ქალბატონ როზა ბერიკაშვილისა და უახლოესი მეგობრების ძალისხმევა, საკუთარ სიცოცხლეში წიგნსაც ვერ მოესწრებოდა და ადვილად შესაძლებელია მისი შემოქმედებაც გაფანტულიყო. რაც შე-*

*ეხება ერთტომეულის გამოცემას, ეს ახალგაზრდა მუხურელი ქალბატონის ელენე ახალაიას იდეაა (ერთტომეულიც მისი დაფინანსებით გამოდის), რომელსაც ქალბატონ როზა გერიკაშვილის აქტიური მხარდაჭერით ხორცი შევასხით“.*

ზოგადად უახლოესი მეგობრების ძალისხმევა კი, მაგრამ, სამწუხაროდ და ჩემდა გასაკვირად, არც წინასიტყვაობაში და არც მის ფეისბუქ-კომენტარებშიც არავინ ახსენა ლაშა გახარიას სულ პირველი წიგნი „მუზის პაუზა“, რომელიც სულაც არ ყოფილა სახელდახელო. ისევე როგორც არავინ ახსენა ლაშას უნივერსიტეტელი მეგობარი, დღეს ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, რომელმაც საკმაოდ რთულ პერიოდში ლაშა გახარიას იმ პირველი წიგნის სასტამბო სახსარი მოიძია. თბილისის უნივერსიტეტში გამართულ მის ერთ-ერთ შემოქმედებით საღამოზე შევპირდით მე და ვალერი ლაშას, რომ მის ლექსებს წიგნად გამოვცემდით. საგამომცემლო ხარჯები მთლიანად მე ავიღე ჩემ თავზე – ის წიგნი „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობაში“ მომზადდა და მე საკუთარი ხელით დავაკაბადონე. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრებული ფაქტობრივად თავად ლაშას შედგენილია, მან ამ წიგნზე, რამდენადაც შეძლო, საფუძვლიანად იმუშავა. ეს მისი პირველი წიგნი იყო და, მე მგონი, დღემდე საუკეთესოც.

არც ამ ახალი კრებულის წინასიტყვაობაში და არც კომენტარებში ლაშას პირველი კრებული არავის უხსენებია-მეთქი, „სამაგიეროდ“ კომენტარებში ლაშას პოეზიის მოყვარული ქეთო ჯალაღონია წერს: „ნეტავ, სიცოცხლეში ეხილა პოეტს თავისი კრებული“...

იხილა! ნახა! ონკოლოგიურში, პალატაში მივართვით მე და ვალერი ასათიანმა მისი ლექსების ის პირველი წიგნი, „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობამ“ რომ გამოსცა ვალერი ასათიანის თანადგომით და მისივე წინასიტყვაობით.

**წელს ჩემს მეგობარს და ძალიან მაგგვარ პოეტს ლაშა გახარიას 75 წელი შეუსრულდებოდა. ეს თარიღი ღირსეულად აღინიშნა მის მშობლიურ კუთხეში. მიწვევის მიუხედავად, ამჯერად მუხურში ჩასვლა ვერ მოვახერხე, ერთ-ერთ წინა ლაშაობაზე ჩასულმა კი გულით გავიხარე, როცა გახარიების ეზო-ყურეში, ლაშას სახლ-მუზეუმის წინ ლაშას იმ პირველი წიგნის ვეება გარეკანი შემოგვეგება, მე და ვალერი ასათიანმა თავის დროზე საჩუქრად რომ მივართვით მეგობარ პოეტს.**

# დიდების დარბაზთა ქართველი წევრებისა

**ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა გერიშვილი იმ დღეს 70 წლის იუბილეს აღნიშნავდა. თამადა დიდი ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი იყო. მე მოადგილედ დამადგინა.**

შენ არ იცი, რომ მე დიდების დარბაზის წევრი ვარო?! – მისაყვედურა სადღეგრძელოსა და სადღეგრძელოს შორის თამადამ და მერე ისიც დასძინა, – სხვა ყველაფერი კარგი იყოო.

ჟურნალ „ოლიმპიელს“ გულისხმობდა, რომლის რედაქტორიც მე ვარ და რომლის ბოლო ნომერშიც დავით გობეჯიშვილს დაბადების 60 წლისთავი მივულოცეთ. ჟურნალში მისადმი მიძღვნილ სხვა მასალებთან ერთად მისი სპორტული ტიტულების სრული ჩამონათვალიცაა: სეულის ოლიმპიური ოქრო და ბარსელონის ოლიმპიური ბრინჯაო, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არაერთი ოქროს მედალი, მსოფლიო თასები, კეთილი ნების თამაშების, საბჭოთა კავშირისა თუ ესენგეს ჩემპიონატებისა და ხალხთა სპარტაკიადების ოქროს მედლები და კიდევ სხვები და სხვები, მრავალი. აი, ეს კი, დიდების დარბაზის წევრობა, მართლა გამომრჩენოდა. მისი ძველი დოსიეთი ვისარგებლე და იმიტომ.

შინ მობრუნებული ვერ შევძლებდი და მეორე დილიდან შევედი ჭიდაობის დიდების დარბაზში.

ჭიდაობის დიდების დარბაზი, რომლის წევრობა დიდი პატივია თუნდაც მრავალი ტიტულით დახუნძლული თითოეული მოჭიდავისათვის, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 2003 წელს შექმნა. პირველი ქართველი მოჭიდავე ამ დარბაზში 2005 წელს შეიყვანეს. ეს ლეგენდარული ლევან თედიაშვილი გახლდათ – ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.

შემდეგ ჭიდაობის დიდების დარბაზში ერთმანეთის მიყოლებით შეიყვანეს სახელოვანი ქართველი ფალავნები თუ მწვრთნელები: ლერი ხაბელოვი (2006), გიორგი კოღუაშვილი (2007), მიხეილ მამიაშვილი (2008), რომან რურუა (2010), დიმიტრი მინდიაშვილი (2014), დავით გობეჯიშვილი (2016).

ასეთივე დიდების დარბაზი აქვს შექმნილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასაც და იქ ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ძიუდოკაა შეყვანილი – შოთა ჩოჩიშვილი (2015).

სხვათა შორის, იმ ჟურნალში, რომელშიც დათო გობეჯიშვილის დოსიეში მისი ეს აღიარება გამომრჩა, კიდევ ერთ იუბილარს მოვესალმეთ – ოლიმპიური ოქრო-ვერცხლის, მსოფლიო ჩემპიონატების ოთხი ოქროს მედლისა და სხვა მრავალი პირველი პრიზის მფლობელს რომან რურუას 80 წელს შეუსრულდა. სამწუხაროდ, დიდების დარბაზის წევრობა მასაც დავაკელი, მის დოსიეშიც გამომრჩა.

ჰოდა, სანამ რომან რურუაც მეტყოდეს საყვედურს, ახლა ამ შთანაწერითა თუ შთანახატით ორივე ეს დანაკლისი მინდა შევავსო.

# ნუ დავამახინჯებთ ქართული ფუტკრის ღირსებას!

**მესხეთ-ჯავახეთის ზონას სწავლობდნენ გიორგი მერჩულე, ვახუშტი ბატონიშვილი, შავროვი, ნიკო კეცხოველი, ლ. მაროაშვილი და სხვები. ამ ზონის ჰავას ახასიათებდნენ დადებითად – კეთილად შეზავებულია მზისაგან, ჰაერისაგან, არც დიდი სიცივე და არც გადამეტებული სიცხე ტანჯავს აქ მცხოვრებლებს, ხასიათდება მშრალი ნიადაგითა და ბუნებრივი წყლებით. მცენარეთა საფარი რთული რელიეფისა და თავისებური კლიმატური პირობების გამო სხვადასხვა ტიპისაა.**



მესხეთ-ჯავახეთის მცენარეთა საფარი ძირითადად წარმოადგენს მთიანი ველების, სუბალპური მდელოს ფორმაციებს.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი აღნიშნავდა, რომ მთის მდელოს ბალახები დაუშრეტელი წყაროა მეფუტკრეობისათვის. მთის თაფლი თავისი ღირსებით ყოველთვის გამორჩეულია. მთის მდელოს რაციონალურად გამოყენება მეფუტკრეობის დარგს ძალიან ბევრს შემატებს.

მეფუტკრეობის განვითარებისა და მისი რენტაბელობის ძირითად საფუძველს მდიდარი და მყარი საკვები ბაზის არსებობა წარმოადგენს.

საქართველოს რეგიონებში ფუტკრის საკვები ბაზის შესწავლას წლების განმავლობაში აწარმოებდა მეფუტკრეობის სამეცნიერო საცდელი სადგური, შემდგომში მეფუტკრეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და ბოლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრი.

1963 წლიდან მესხეთში, სოფელ ტყემლანაში შეიქმნა მეფუტკრეობის საყრდენი პუნქტი, რომლის გამგედ დაინიშნა შურა (ალექსანდრე) მარტინენკო.

მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში აქ გავრცელებული ფუტკრის შასწავლა დაიწყო – სელექციონერ იროდი მუმლაძის მიერ, რომელსაც ეხმარებოდა ადგილობრივი მეფუტკრე ინსპექტორი არამ ზეჩოიანი.

რეგიონში დაიწყო აგრეთვე ფუტკრის საკვები ბაზის შეასწავლა.თაფლოვანი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის დადგენა. გავრცელების არეალის, დაკვირვება ყვავილების ფაზებზე – ყვავილების კალენდრის შესადგენად, მათი ნექტარპროდუქტიულობის განსაზღვრა. რის შემდეგაც მოხდა ღალიანობისა და უღალო პერიოდების დადგენა. მოვახდინეთ სამთაბარო ადგილების შესწავლა სამთაბარო მარშრუტებით.

წლების განმავლობაში მეფუტკრეობას ემსახურებოდა ადგილობრივი მცხოვრები, ცნობილი მეფუტკრე, მკვლევარი, მრავალი შრომისა და წიგნის ავტორი ალექსანდრე გვარამაძე. იგი ყოველწლიურად ამთაბარებდა ფუტკარს მესხეთიდან (წნისი) ჯავახეთში, ხშირად (ბოგდანოვკაში) ნინოწმინდაში.

მესხეთ-ჯავახეთის ფუტკრის სამთაბარო ადგილებისა და მთაბარობის მარშრუტების შესახებ გამოქვეყნებულია ბროშურა, მეთოდური მითითება. შედგენილია სამთაბარო რუკა – ფუტკრის ოჯახების მთაბარობა ადრე გაზაფხულზე ჯავახეთიდან მესხეთში და მოგვიანებით მესხეთიდან ჯავახეთში.

შედგენილია სამთაბარო რუკა, რომელმაც რამდენიმე კონფერენციაზე მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

ჩემ მიერ შესწავლილია მესხეთ-ჯავახეთის რაიონების ფუტკრის სამთაბარო მარშრუტები, რომელიც დამტკიცებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

შესწავლილია ფუტკრის საკვები ბაზა, შერჩეულია თაფლოვანი მცენარეები, რომლებიც გამოიყენება ეროზიის წინააღმდეგ. თაფლოვანი მცენარეების ნექტარპროდუქტიულობა – დადგენილია ღალიანობის ტიპები და ხანგრძლივობა. შედგენილია ყვავილობის კალენდარი. დაანგარიშებულია თაფლის ბალანსი – უღალო პერიოდების შესავსებად – სანექტარე კონვეიერის გამოყენებით.

1976 წელს გამოცემულია ბროშურა – დადგენილია სამთავრობო მარშრუტები, სადაც მოცემულია მთაბარობის გეგმა-გრაფიკი, რომელიც ეხმარებოდა ამ ზონის მეფუტკრეებს პროდუქტიულობის გაზრდაში.

ამ პერიოდში სამუშაოს შესრულება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ფეხით გვიხდებოდა კილომეტრების გავლა საცდელ ადგილამდე. სამაგიეროდ დიდ ყურადღებას იჩენდნენ რეგიონის იმდროინდელი მთავრობის თანამშრომლები – აწყურის მეურნეობის დირექტორი ნიკიფორე სარჯველაძე, რომელიც ხშირად დაგვხმარებია ტრანსპორტით.

1997 წლის ბოლოს დაფუძნდა სამცხე-ჯავახეთის მეფუტკრეთა კავშირი.

1998 წელს ქალაქ ახალციხეში გაიხსნა მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტის ფილიალი, სადაც ლექციებს კითხულობდნენ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკები.

2003 წლის 29 სექტემბერს, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ქ. ახალციხეში ჩატარდა ქართული ფუტკრის დღესასწაული, 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში კი ადიგენის რაიონში. არასამთავრობო ორგანიზაცია – „ქეას“ მიერ (მეფუტკრეობის განვითარებაზე ზრუნვა) ჩატარდა სემინარი, სადაც ლექციების კითხულობდნენ მეფუტკრეობის ინსტიტუტის ცნობილი მეცნიერები – ზ. წითლაძე, ი. მუმლაძე, ვ. სტეფანიშვილი და ლ. ბალიაშვილი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში უარყოფითმა კლიმატურმა პირობებმა, ნიადაგის ეროზიის ზრდამ, სათიბსაძოვრების გაუარესებამ, ნათეს ბალახების თესლბრუნვის შეჩერებამ, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით ეკოლოგიურ ფაქტორთა გავლენამ მკვეთრად შეამცირა თაფლოვანი მცენარეების ნექტრის გამოყოფა.

* * *

**დღეისთვის საქართველოს თითოეულ მუნიციპალიტეტში ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გათვალისწინებით თაფლის ბალანსის დაანგარიშების დროს ცნობილი გახდა საკვები ბაზის დეფიციტი.**

ამ პერიოდში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის თაფლოვანი მცენარეების თაფლის ბალანსი მთხოვა გიორგი მერაბიშვილმა, რომელსაც კარგად ვიცნობდი, როგორც ფერმერს. მე რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს და გადავუგზავნე ეს მონაცემები. მას არ გაუმხელია ჩემთვის რისთვის სჭირდებოდა ეს მასალა. თურმე ნინოწმინდის თაფლის ბრენდის გამოშვებას აპირებდა (ეს ამბავი მე გაზეთიდან შევიტყვე). იმ პერიოდში ნინოწმინდაში არსებული ფუტკრის ოჯახების რაოდენობასაც კი ვერ აკმაყოფილებდა გამოყოფილი ნექტარი საკვებად. ფუტკრისთვის საკვების დეფიციტი იყო.

ანალოგიური სიტუაცია იყო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში – მუხურის თაფლის ბრენდის გამოშვებაზეც. როდესაც მოითხოვეს თაფლის ბალანსი, რადგან როგორც ფუტკრის საკვები ბაზის სპეციალისტი ამ ზონაში წლების მანძილზე ვსწავლობდი საკვებ ბაზას. აქაც არსებული ფუტკრის ოჯახებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა ნექტრის მარაგი და დეფიციტი იყო. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც მუხურის ხეობაში უმოწყალოდ გაიჩეხა ტყე. მის განახლებაზე და აღდგენაზე არავის არ უფიქრია. არ დარგულა არც ერთი თაფლოვანი ხე და ბუჩქი.

საინტერესოა, რითი აპირებს ბრენდის წარმოებას ნინოწმინდა და მუხური?

**ქართული ფუტკარი, მსოფლიოში აღიარებულია 6 ნიშან-თვისებით და რაც მთავარია, მისი გრძელი ხორთუმით. შაქარწყალზე მომუშავე ფუტკარს კი ხორთუმიც აღარ დასჭირდება.**

**ქართული ფუტკარი ჩვენი ქვეყნის სიამაყეა, და მას მოფრთხილება სჭირდება.**

**გირჩევთ კარგად გაიაზროთ ბრენდის მწარმოებლებმა, მეფუტკრეებმა, მეფუტკრე ფერმერებმა და ფუტკართან მომუშავე პირებმა – ნუ დავამახინჯებთ ქართულ ფუტკარს! მას ბიოლოგიურად აქვს გრძელი ხორთუმი, რომელიც მას სჭირდება და ამითაა გამორჩეული მსოფლიოში.**

**გახსოვდეთ, შაქარწყალი თაფლად არ იქცევა, ისე როგორც ყვავილის მტვერი – ჭეოდ!**

**ლიზა ბალიაშვილი,**
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის ფუტკრის საკვები ბაზისა და მეფუტკრეობის დარგის წამყვანი სპეციალისტი.



⊙ სეზონის ფინიშზე

# სეოკ-ის რჩეულნი

**საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2022 წელი შეაჯამა და წლის საუკეთესო სპორტსმენები სხვადასხვა ნომინაციებში გამოავლინა.**

წლის საუკეთესო სპორტსმენი ძიუდოისტი **ტატო გრიგალაშვილი** გახდა, რომელმაც მიმდინარე წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. მანვე მოიგო ევროპის პირველობა და იერუსალიმის მასტერსი ილია სულამანიძესთან ერთად.

ყველა ნომინაციაში გამარჯვებულთა სია კი ასეთია:

**2022 წელს ოლიმპიური სპორტის მხარდაჭერისთვის:** საქველმოქმედო ფონდი "ავერსი".

**ოლიმპიური თემატიკის საუკეთესო გაშუქებისთვის:** პირველი არხი.

**საუკეთესო რეგიონი:** იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია.

**საუკეთესო მწვრთნელი ქალთა სპორტში:** ზაქარია სულაშვილი (ბატუტზე ხტომა).

**2022 წლის საუკეთესო მწვრთნელი:** ბეჟან ჭიჭინავა (კრივი).

**ოლიმპიური იმედი:** ანანო აფაქიძე ბატუტზე ხტომა.

**ოლიმპიური იმედი:** გიორგი ელბაქიძე მოჭიდავე.

**2022 წლის საუკეთესო ფედერაცია:** ფიგურული ციგურაობა.

**ზამთრის სახეობებში საუკეთესონი:** ლუკა ბერულავა, კარინა საფინა (ფიგურული სრიალი)..

**2022 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სათამაშო სახეობებში:** ხვიჩა კვარაცხელია.

**2022 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი**: ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი

**ვიქტორ სანეევის სპეციალური პრიზი ოლიმპიურ მოძრაობაში უნიკალური მიღწევებისთვის:** ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა).

**2022 წლის საუკეთესო სპორტსმენი**ნ ტატო გრიგალაშვილი (ძიუდო).

⊙ ლეგიონერი

# შეხვედრა წარსულთან

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია, რომელიც ერთი პერიოდი „ბასკონიაში" თამაშობდა, ესპანურ გამოცემა notocias de Alavas „ვირტუს ბოლონიასა" და „ბასკონიას" შორის გასამართი მატჩის წინ საინტერესო თემებზე ესაუბრა (თოკოს 15 ქულის მიუხედავად, იტალიელები დამარცხდნენ – 79:90).**

„ვირტუსში" ერთი მხრივ საქმეები კარგად მიმდის, მეორე მხრივ კი არც ისე კარგად. აქ ბედნიერი ვარ, რადგან კლუბიც მომწონს და ქალაქიც და თავსაც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, როგორც თანაგუნდელებთან, ასევე მთავარ მწვრთნელ **სერჯიო სკარიოლოსთანაც.** სამწუხაროდ, ტრავმებმა ძალიან შემაწუხა და ამის გამო გაბრაზებული ვარ, მაგრამ ნელ-ნელა ტემპს ვკრეფ და უკვე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ შემიძლია გუნდს დავეხმარო.

ის ტრავმა, რომელიც მხარზე მივიღე და რომელმაც ევრობასკეტი გამომატოვებინა, აღარ მაწუხებს. ბოლოს კოჭი მქონდა დაზიანებული და ამის გამო რამდენიმე კვირა თამაშს ვერ ვახერხებდი. ეს ის ტრავმაა, რომელიც ბოლო მატჩებში 100%-ით დახარჯვის საშუალებას არ მაძლევდა, თუმცა ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ

ევრობასკეტის გამოტოვება ძალიან რთული იყო. ბოლო 4 წელი ამისთვის ვემზადებოდი, იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც გავიგე, რომ ტურნირს საქართველო უმასპინძლებდა და ეს ტრავმა ძალიან დიდი დარტყმა იყო. ჯერ კიდევ გაბრაზებული ვარ იმით, რომ საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარე.

ყოფილ გუნდთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდები. ბოლოს, როდესაც „ცეესკას" მაისურით იქ ჩავედი, გულშემატკივრებმა ჩემს მისამართით დიდი სიყვარული გამოხატეს და როდესაც შესაძლებლობა მექნება, მე მათ მადლობას აუცილებლად გადავუხდი იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემი იქ ყოფნის 6 წლის განმავლობაში მიცხადებდნენ.

ძველი თანაგუნდელების ნახვა ძალიან მახარებს. რაც მთავარია ვხედავ, რომ ახალგაზრდა მოთამაშეები ძირითად გუნდში ნელ-ნელა ჩნდებიან. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში რამდენიმე ახალგაზრდა მწვრთნელის ნდობას ნელ-ნელა იპოვებდა და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ მათ თამაშს ასეთ მაღალ დონეზე რომ ვხედავ.

„ბასკონიას" წინააღმდეგ ჩვენი მთავარი მიზანი 40 წუთის განმავლობაში ყურადღებით ყოფნა იქნება. მათ ამ სეზონში აჩვენეს, რომ უყურადღებობის შემთხვევაში, ძალიან მცირე დროში 15 ქულის ჩაგდება შეუძლიათ მხოლოდ სამქულიანებიდან. თუ შეცდომებს დავუშვებთ, ისინი ამას გამოიყენებენ სწრაფი შეტევებით და სამქულიანებით, ასე რომ, ამას აუცილებლად უნდა ვერიდოთ.

სერჯიო სკარიოლოსთან მუშაობა დიდი პრივილეგიაა. ის დიდებული მწვრთნელია და ყველა სავარჯიშო სესიაზე ჩვენ რაღაც ახალს ვსწავლობთ. მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ.



რუსეთისა და უკრაინის ომის დაწყება ყველასთვის რთული ამბავი იყო. არ არის კარგი საყვარელი საქმიანობის მიტოვება, რომელსაც კალათბურთი ჰქვია, თუმცა სპორტისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „ცეესკას" დატოვება ის იყო, რაც უნდა გამეკეთებინა. შესაძლოა ამ გადაწყვეტილებამ სხვა მოთამაშეთა გადაწყვეტილებაზეც იქონია გავლენა, თუმცა იმ მომენტში მე ამაზე არ მიფიქრია. მე ჩემი ოჯახი მაღელვებდა და სხვა ფაქტორები, რომლებმაც ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიეს.

**„NBA-ში დაბრუნების შესაძლებლობა რომ არ არის, ეს საერთოდ არ მაღელვებს. ყოველთვის მქონდა წასვლის შესაძლებლობა, თუმცა ისეთი შანსი არ გამოჩენილა, რომ ჩემი და ჩემი ოჯახისთვის სწორად მიმეჩნია. ძალიან ბედნიერი ვარ, სადაც ვარ და ამაზე ზაფხულში ვიფიქრებ. თუ ეს დღე დადგება, ძალიან კარგი, თუ არა და აქ ყოფნითაც ძალიან ბედნიერი ვარ"**, — განაცხადა შენგელიამ.

⊙ ექვს ერზე

**ნიკა ამაშუკელი 2023 წლის 26 თებერვალს საფრანგეთსა და შოტლანდიას შორის ექვსი ერის მესამე ტურის შეხვედრას განსჯის. 28 წლის ქართველ რეფერის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უძველეს საერთაშორისო სარაგბო ტურნირზე ზედიზედ მეორე წელია იწვევენ.**

ექვსი ერის წინამორბედი ტურნირი 1882 წელს დაარსდა და პირველი გამარჯვებული 1883 წელს გამოვლინდა. თავდაპირველად მასში ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია და უელსი მონაწილეობდნენ, 1910 წლიდან კი მათ საფრანგეთი დაემატა და შეჯიბრი ხუთი ერი გახდა, 2000 წლიდან კი მონაწილეთა რაოდენობა იტალიის დამატებით ექვსამდე გაიზარდა.

ამაშუკელი გახდა პირველი რეფერი ტიერ2 სარაგბო ქვეყნებიდან, რომელიც ამ ტურნირზე მიიწვიეს. შარშან ის საფრანგეთი-იტალიაზე გვერდითი, ხოლო ირლანდიაიტალიაზე მთავარი მსაჯი იყო. სასიამოვნოა, რომ მსოფლიოო თასის წინ ის ასეთი მაღალი დონის ტურნირზე კვლავ მიიწვიეს, რასაც წინ უძღოდა ნიკას დანიშვნები მაღალი დონის თამაშებზე ოთხ ერზე, ზაფხულისა და შემოდგომის ტესტ-მატჩებზე, ასევე საკლუბო ტურნირებზე.

**„ზედიზედ მეორედ წარვსდგები ექვს ერზე მთავარი მსაჯის რანგში და უზომოდ გახარებული ვარ. 26 თებერვალს „სტად ფრანსეზე" საფრანგეთისა და შოტლანდიის შეხვედრას განვსჯი. ყველამ იცის, როგორი მებრძოლი გუნდია შოტლანდია და როგორ ჩინებულ რაგბის თამაშობს საფრანგეთი. ტურნირზე პირველი დანიშვნა ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო და ბედნიერი ვარ, ექვსი ერის ნაწილი კიდევ ერთხელ რომ გავხდები და იქ ჩემს ქვეყანას წარვადგენ.**

**ქართველებისთვის ეს ტურნირი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც იტალიისა და უელსის დამარცხებით დიდი განაცხადი გავაკეთეთ. ვფიქრობ, ჩემი იქ ყოფნა ძალიან დიდი სარგებლის მომტანი იქნება ქართული რაგბისთვის. გარდა ამისა, მსოფლიოს თასის წინ ასეთი მაღალი დონის ტურნირში მოხვედრა იმის ნიშანია, რომ მსოფლიოს რაგბის თვალთახედვის არეალში ვარ და მაქვს შანსი**




**მოვხვდე იმ 19 მსაჯს შორის, რომლებიც 2023 წლის საფრანგეთის მსოფლიოს თასს მოემსახურებიან"** – გახარებულია ამაშუკელი.

მას შემდეგ, რაც ნიკა ამაშუკელმა ტრავმების გამო თამაშს თავი დაანება და მსაჯობას მიჰყო ხელი, ყოველი მომდევნო წელი მისთვის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დღემდე 2022 წელი ყველა წინამორბედზე განსხვავებულია. ზაფხულში, სამხრეთ აფრიკა – უელსის ტესტ-მატჩებისა და ოთხი ერის ტურნირზე მსაჯობის შემდეგ, მას ურთულესი შემოდგომა ჰქონდა და 8 კვირა გადაფრენებსა და უმაღლესი დონის საერთაშორისო რაგბიში გაატარა.

**„1 წლია, რაც მყარად შევდგი ფეხი ელიტაში და მას შემდეგ ფრენებისა და თამაშებისგან პრაქტიკულად დასვენება არ მქონია, თუმცა წლევანდელი ნოემბერი მაინც გამორჩეული იყო. მსოფლიოო რაგბიმ დიდი თამაშები მანდო. რაც უფრო მაღალ დონეზე ადიხარ, მით მეტია პასუხისმგებლობა, მით უფრო რთულდება ჩვენი საქმე და ამისთვის მზად უნდა იყო. მაყურებელი ხედავს მხოლოდ 80 წუთს, მის მიღმა კი უზარმაზარი შრომა და ენერგიაა ჩადებული. მაგრამ ეს სწორედ ის არის, რასაც პირადად ჩემთვის უზარმაზარი ბედნიერება მოაქვს"** – ამბობს ამაშუკელი და განვლილ პერიოდს იხსენებს:

**„შემოდგომა დავიწყე იაპონიით, მერე ჩავედი დუბლინში, რასაც მოჰყვა მსოფლიო რაგბის მსაჯთა შეკრება ლონდონში. იქიდან გადავფრინდი დუბაიში და კვლავ დავბრუნდი ლონდონში. შემდეგ იყო ტოპ 14-ისა და ჩემპიონთა თასის თამაშები. დროის მცირე მონაკვეთში დიდი მანძილის დაფარვა მომიწია, მაგრამ სპორტისგან ასეთი სიამოვნება ჯერ არ მიმიღია".**

ნოემბრის ტესტ-მატჩების დასრულების შემდეგ ნიკა ამაშუკელი ჯერ ტოპ 14-ის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის სამსაჯოდ მიიწვიეს, მერე კი ჩემპიონთა თასი დაიწყო და ქართველმა რეფერიმ ორივე ტურში იმუშავა:

**„ერთი კვირის დასვენების შემდეგ ჩვენთვის, ქართველებისთვის საყვარელ ტოპ 14-ის მატჩზე მიმიწვიეს. „რასინგ 92"-ისა და „ტულონის" შეხვედრა ისეთი არ გამოვიდა, როგორიც ფურცელზე ჩანდა. სასიამოვნო იყო ის, რომ თამაშში სამმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა – გურამ გოგიჩაშვილმა და გია ხარაიშვილმა „რასინგ 92"-ის და ბექა გიგაშვილმა „ტულონის" შემადგენლობაში. გოგიჩაშვილი და გიგაშვილი შერკინებებში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და მეც რა თქმა უნდა მათ მხარეს დავდექი. ვინც უყურა თამაშს მოისმენდა რამდენიმე ქართულ გადალაპარაკებას. თავიდან მეგონა, რომ ქართველები ერთმანეთს დაინდობდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთმანეთის გაჭყლეტვა უნდოდათ, რაც მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ორივე მხარეს მომიწია ჯარიმების გაცემა, ბოლოს კი ბიჭებს გადავეხვიე და ასე დავშორდით ერთმანეთს.**

**საერთაშორისო ტესტ-მატჩებში სტრუქტურა უფრო დალაგებულია, ვიდრე საკლუბოში. საკლუბოშიც არავინ არაფერს თმობს, მაღალია ინტენსივობა, მაგრამ როდესაც მოთამაშეები, გუნდი საკუთარ ქვეყანას წარმოადგენენ, აქ ყველას პასუხისმგებლობა ბევრად უფრო მაღალია. ამ დროს უფრო დიდი წნეხია მსაჯებზეც, რასაც მედია იწვევს. ქვეყნებს შორის დაპირისპირებებს მეტი გაშუქება აქვს. მედიამ იცის, რომ მსაჯის ყველა ქმედებას დიდი გამოხმაურება მოჰვება და სულ ცდილობს რამე ხელჩასაჭიდი იპოვოს.**

**სწორედ ამიტომ მსოფლიოო რაგბის 24-ივე მსაჯს მენტალური გამძლეობა მოგვეთხოვება. კომენტარებს ჩვენი ახლობლები, ოჯახის წევრები კითხულობენ და განიცდიან. ხშირად იქით მიწევს მათი დაწყნარება. ცოტა ხნის წინ უეინ ბარნსმა ოჯახის წევრებზე მიიღო მუქარა, რაც უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. ეს არის მედიის გამოხმაურების შედეგი, თუმცა ყოველთვის ყველაფერი ისე არ არის, როგორც იწერება. ყველა ჩვენს გადაწყვეტილებას აქვს ახსნა, მაგრამ სამწუხაროდ, მსაჯებს არ გვაქვს ამის შესაძლებლობა, როგორც მაგალითად გუნდებს, მწვრთნელებს ან მოთამაშეებს. კლუბებს კი გულშემატკივრების კონკრეტული კონტიგენტი ჰყავთ და თამაშებს ამხელა გამოხმაურება არ მოჰყვება. მთლიანობაში, ინტენსივობით და ვნებათაღელვით უმაღლესი დონის საკლუბო და სანაკრებო რაგბი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება".**

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე მოქალაქე ანზორი აბრამიშვილის (პ/ნ 38001037255) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, შემდეგი მიწის ნაკვეთები:

1. საჩხერის რაიონი, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 195კვ. მეტრი (ს/კ 35.04.50.057) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები.

2. საჩხერის რაიონი, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 993 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 710 კვ. მეტრი (ს/კ 35.04.50.062), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მავთულხლართი ხის ბოძებით) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის 1-1/513 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საჩხერის რაიონი, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ს/კ 35.04.50.057 ნაწილზე - 195კვ. მეტრზე, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობასა (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე და 993 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ს/კ 35.04.50.062 ნაწილზე - 710 კვ. მეტრზე, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნაძალადევში, ჯავის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული, 1964 წელს დაბადებულ ვ.ქ. დააკავეს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევმა ბრალდებულმა, წარსულში მომხდარი პირადი კონფლიქტის გამო, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს თბილისში, ჯავის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1976 წელს დაბადებული ბ.ო. და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა“.**

## ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის ბრალდებით...

**პოლიციამ უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ჰ.მ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ორი პირის განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, თბილისში, ფინანსური დავის ნიადაგზე, ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით, სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა ცოლქმარს: 1986 წელს დაბადებულ დ.ბ.-ს და 1981 წელს დაბადებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩ.კ.-ს.

**„ჰ.მ.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილთა ცხედრები შემთხვევის ადგილთან ახლოს დამარხა და მიიმალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა მალევე დაადგინეს და თბილისში დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ორი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.**

**დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე მოქალაქეების ზვიადი აბრამიშვილის (პ/ნ 38001002269), პაშა აბრამიშვილის (პ/ნ 38001011837) და რეზო აბრამიშვილის (პ/ნ 38001011838) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2688 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 182კვ. მეტრი (ს/კ 35.04.50.307) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულ იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის 1-1/513 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2688 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 182კვ. მეტრზე (ს/კ 35.04.50.307) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (ღობე). ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე მოქალაქე რეზო აბრამიშვილის (პ/ნ 38001011838) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2680 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 1113კვ. მეტრი (ს/კ 35.04.50.395), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

- 2017 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე რომელიმე ერთ წელს არანაკლებ **22,000 მ²** ასფალტის საფარის სამუშაოები.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, ინსტრუქციის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე;

9. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - *“მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)”* და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

10. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

11. დამკვეთის მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:

საერთაშორისო შესყიდვების სამსახური, მე-4 სართული,
ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: + (995 322) 37-05-08
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# INVITATION FOR BIDS

**Georgia**

**Secondary Road Asset Management Project (SRAMP)**

**Loan No.: IBRD 8599 -GE**

**Contract Title: Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km0+000 to km7+200**

**Reference No.: SRAMP/CW/NCB-20**

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for Procurement of **Rehabilitation of Sajavakho – Chokhatauri – Ozurgeti - Kobuleti Road Section from km0+000 to km7+200.**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, now invites eligible bidders to submit their bids for execution of rehabilitation works. Implementation period for execution of rehabilitation works is **7 (seven) months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 8,320,225.24** including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

*a. Minimum average annual construction turnover of **GEL 8,300,000** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2019, 2020, 2021), divided by 3;***

*b. Access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet the following cash-flow requirement: **GEL 2,400,000;***

*c. Participation as a JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) similar contract with a minimum value of **GEL 6,700,000** or two (2) similar contracts with a minimum value of **GEL 3,350,000** of each contract that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works between 1st January 2017 and bid submission deadline;*

*d. A minimum construction experience in the following key activity:*

***e. Asphalt pavement** - at least **22,000 m²** completed in any consecutive 12 months period between 1st January 2017 and bid submission deadline;*

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.
- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

9. Bidding will be conducted through the National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's *Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers* January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

10. All bids must be accompanied by a Bid-Securing Declaration. Bid-Securing Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid. For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

11. The Employer's address is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
International Procurement Division, IV Floor
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

## ცნობილი სერიული მკვლელი თავისუფალია

**ნეპალის ციხიდან ცნობილი სერიული მკვლელი ჩარლზ სობრაჯი, მეტსახელად „გველი“ გათავისუფლდა.**

**სობრაჯმა 1972-1976 წელს მომხდარი 12 მკვლელობა აღიარა, თუმცა მის სახელს კიდევ ათობით მკვლელობას უკავშირებენ. 78 წლის ჩარლზ სობრაჯი ნეპალში 1975 წელს ორი ტურისტის მკვლელობისთვის უვადო სასჯელს იხდიდა, თუმცა სასამართლომ, პატიმრის ჯანმრთელობისა და ასაკის გათვალისწინებით, მისი გათავისუფლება გადაწყვიტა. რამდენიმე წლის წინ სობრაჯს გულზე ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა მას კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდება.**

**ვიეტნამის ქალაქ საიგონში, ფრანგული ადმინისტრაციის მმართველობის პირობებში დაბადებული სობრაჯი პირველად 1963 წელს პარიზში ყაჩაღობისთვის დააკავეს, რის შემდეგაც მას დანაშაულის ჩადენას საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ნეპალში, ინდოეთში, ტაილანდსა და მალაიზიაში ედავებოდნენ. სობრაჯმა რამდენიმე ქვეყანაში ციხიდან გაქცევა შეძლო, რის გამოც მას მეტსახელად „გველი“ შეარქვეს.**



# სატენდერო მოწვევა

## საქართველო
## შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAM)
## კონტრაქტის დასახელება: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები
## სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-18

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის" (SRAMP)**. აღნიშნული პროექტიდან დანაზოგიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები**.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, სამუშაოების განსახორციელებლად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **8 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **3,527,772.36 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური სულ მცირე **900,000.00 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს თუ საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იქნება ბანკის მხრიდან რაიმე პირობის გათვალისწინებით);

ბ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2019; 2020 და 2021) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა სულ მცირე **3,500,000.00 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებიდან, გაყოფილი 3 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2017 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ (1) კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **2,800,000.00 ლარი** ან ორ (2) კონტრაქტს თითოეულის ღირებულებით არანაკლებ **1,400,000.00** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

- 350 მ რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.
- 11,500 მ ქვათაცვენის საწინააღმდეგო დამცავი ბადის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე

(ზემოაღნიშნული მოთხოვნები შესაძლოა პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს სპეციალიზირებული ქვეკონტრაქტორის მეშვეობით).

სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

5. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

6. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

7. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება.

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე.

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)". ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება სისტემაში.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში ( ე.ი 120+28=148 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

# INVITATION FOR BIDS

## GEORGIA
## Secondary Roads Asset Management Project (SRAMP)
## Contract Title: Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5
## Bid invitation No. SRAMP/CW/NCB-18

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Secondary Roads Asset Management Project (SRAMP) and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract: **Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of these works. Implementation period of works is **8 months.**

3. The estimated cost of the works is **GEL 3,527,772.36** including all taxes, duties and other levies. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 900,000.00** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual turnover of **GEL 3,500,000.00** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2019; 2020 and 2021), divided by 3 years;**

c) Experience under civil works contracts in the role of prime contractor, JV member, sub-contractor, or management contractor for at least the last **5 years, starting 1st January 2017.**

d) A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed (substantial completion shall be based on 80% or more works completed under the contract) as a prime contractor, joint venture member , management contractor or sub-contractor between **1st January, 2017 and bid submission deadline:** at least one (1) contract with minimum value of **GEL 2,800,000.00** or two (2) contracts with minimum value of **GEL 1,400,000.00 of each contract**;

e) For the above and any other contracts completed and under implementation as prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor on or after the first day of the calendar year during the period stipulated in 4.2 (a) above, a minimum construction experience in the following key activities successfully completed:

- **Arrangement of 350m Reinforced Concrete Retaining Wall, between 1st January, 2017 and bid submission deadline.**
- **Arrangement of 11,500 m2 Rock Fall Protection Net, between 1st January, 2017 and bid submission deadline.**

**(Above-mentioned activities can be met through a Specialized Subcontractor).**

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement.

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.

- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

- Please note that bidding is conducted under National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January, 2011 revised July 2014 ("Procurement Guidelines"). Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 120 days+28 days = 148 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციაში ცვლილებების შეტანა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 14 დეკემბრის №10950/06 ბრძანების საფუძველზე, ცვლილება შევიდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ რეგისტრირებულ ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების **მაღრაანის ქისი (რეგ. №981; თარიღი: 31.05.2021)** წარმოების სპეციფიკაციაში.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ერთ ცენტრალურ და ერთ ადგილობრივ გაზეთში.

მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები აისახება ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო – **„მაღრაანის ქისის“** სპეციფიკაციაში განხორციელდეს ცვლილება და სპეციფიკაციის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**2.3. პროდუქტის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები**

ღვინო „მაღრაანის ქისი“ თეთრი მშრალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა – არანაკლებ 11%;
- საერთო მოცულობითი სპირტშემცველობა – არაუმეტეს 15%;
- შაქრიანობა – არაუმეტეს 4 გ/ლ;
- **ტიტრული მჟავიანობა ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს: ახალგაზრდა ღვინოში, არანაკლებ 5 გ/ლ, ხოლო დავარგებულში – არანაკლებ 4,3 გ/ლ;**

- აქროლადი მჟავიანობა ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით – არაუმეტეს 1.0 გ/ლ;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია – არაუმეტეს 200 მგ/ლ;
- უშაქრო ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები.

ღვინო „მაღრაანის ქისი“ ქარვისფერი მშრალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა – არანაკლებ 12%;
- საერთო მოცულობითი სპირტშემცველობა – არაუმეტეს 15%;
- შაქრიანობა არაუმეტეს 4 გ/ლ;
- **ტიტრული მჟავიანობა ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით არ უნდა იყოს 3,5 გ/ლ-ზე ნაკლები;**

- აქროლადი მჟავიანობა ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით – არაუმეტეს 1.2 გ/ლ;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია – არაუმეტეს 150 მგ/ლ;
- უშაქრო ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები.

სანთელი

# ჰამლეტ მაქაცარია



**კაცს რომ ჰამლეტი ერქმევა, ძალაუნებურად კეთილად განეწყობი მისადმი, ხოლო, როცა ამ ფოტოს შეხედავ, კიდევ უფრო დადებითი ემოციებით დაიმუხტები.**

**დიახ, დღეს ჩვენი ძვირფასი მეგობარი და მარადიული ტკივილი უნდა გავიხსენოთ, რომლის გარდაცვალებიდანაც ხვალ 30 წელი სრულდება.**

**ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ზღვაში წვეთია, რასაც იმსახურებს, თუმცა დანარჩენს პირადად მოვახსენებთ, როცა იმქვეყნად შევხვდებით...**

მას უდიდესი დარტყმა მიაყენა ცხოვრებამ — უფროსი ვაჟის დაღუპვა.

ბევრს ფსიქოლოგიურად გატეხდა ასეთი ტრაგედია, თუმცა, **ჰამლეტ მაქაცარია**, პირიქით, უფრო გაასალკლდევა.

როცა მის ბიოგრაფიას ვფურცლავთ, ჩვენ წინაშე მთელი ბრწყინვალებით იხატება დიდბუნებოვანი სულის, კეთილშობილებით აღსავსე კაცური კაცის პორტრეტი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უანგარობა, გულისხმიერება, მოყვასისადმი დიდი სიყვარული, თანადგომა და ქველმოქმედება.

მართალია, არსთა გამრიგემ მძიმე სენით დაავადებული ვაჟკაცისთვის მხოლოდ 53 ამქვეყნიური წელი გაიმეტა, მაგრამ აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ისეთი სახელი დატოვა, ზოგი საუკუნის განმავლობაში რომ ვერ მოასწრებდა.

დაგვეთანხმებით, რიგითი სპეციალისტიდან „აბსოიუზის“ საექსპორტო-საიმპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობამდე აღზევება და ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდების დამსახურება ბევრ რამეზე მეტყველებს.

გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ ძვირფასი ჰამლეტის უმცროსი ვაჟი საშა ღირსეულად აგრძელებს სახელოვანი მამის ტრადიციებს და მეუღლე რაიასთან, და სერცესთან, რძალ ლიკასთან და ვერმოსწრებულ შვილიშვილებთან — გიორგისთან, ედუარდთან და ანასტასიასთან ერთად დიდი საახლობლოს თანადგომით სათუთად ინახავს საამაყო მშობლის ნათელ ხსოვნას.

დღეს მისი უამრავი მეგობარ-ნათესავი კიდევ ერთხელ დანამავს მის საფლავს ალალი ცრემლით.

**გურამ გუნავა, ჯემალ აკობიძე, ჯუმბერ ჯღამაია, ედიკ ქარჩავა, სოსო ნაყოფია.**

# ესპანეთის იმპერატორის საიდუმლო კოდი ხუთი საუკუნის შემდეგ გაშიფრეს



**მკვლევართა ჯგუფმა გაშიფრა ხუთი საუკუნის წინანდელი კოდი, რომელშიც საუბარია საღვთო რომის იმპერატორისა და ესპანეთის მეფე კარლ V-ის მკვლელობის ფრანგულ გეგმაზე.**

კარლი მე-16 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი კაცი იყო; მართავდა ვრცელ იმპერიას, რომელიც მისი 40-წლიანი მმართველობისას მოიცავდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კონტინენტის დიდ ნაწილს.

საფრანგეთის ლორიას ლაბორატორიის მკვლევართა ჯგუფს ექვსი თვე დასჭირდა 1547 წელს შესრულებული წერილის გასაშიფრად, რომელიც იმპერატორმა საფრანგეთში საკუთარ ელჩს მისწერა.

ამ მღელვარე პერიოდში ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ომები და დაძაბულობა იყო; საფრანგეთს იმ დროს ფრანსუა I მართავდა, რენესანსის პერიოდის მმართველი, რომელმაც ლეონარდო და ვინჩი იტალიიდან ჩამოიყვანა.

კარლ V-ის მიერ ჟან სენ-მორისთვის მიწერილი წერილი ქალაქ ნანსის სტანსილასის ბიბლიოთეკის საცავებში საუკუნეების განმავლობაში ჩაიკარგა.

კრიპტოგრაფმა სესილ პიერომ მისი არსებობის შესახებ პირველად 2019 წელს, სადილობისას გაიგო და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, 2021 წელს მიაკვლია.

წერილი კარლ V-ის ხელმოწერას ატარებს და ერთდროულად იდუმალი და სრულიად გაუგებარი იყო.

მძიმე შრომის შემდეგ, პიერომ აღმოაჩინა კარლ V-ის მიერ გამოყენებული 130 სიმბოლოს „განსხვავებული ოჯახები“.

**„ერთ სიმბოლოში მთელი სიტყვებია ჩაშიფრული. იმპერატორმა შეცვალა თანხმოვნების შემდეგი ხმოვნები, რაც სავარაუდოდ, არაბულმა შთააგონა“,** – ამბობს პიერო.

იმპერატორს ასევე გამოყენებული აქვს სიმბოლოები, რომლებიც არაფერს ნიშნავს და მათი მიზანია დააბნიოს ყველა, ვინც წერილის გაშიფვრას შეეცდება.

ივნისში პიერომ ერთი წინადადების ამოკითხვა შეძლო, შემდეგ კი ისტორიკოს კამილ დესენკლოს დახმარებით მთელი კოდი გაშიფრეს.





**„ხანგრძლივი და მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ ამად ღირდა“,** – ამბობენ მკვლევრები.

გაშიფვრაში მეცნიერებს ასევე დაეხმარა ჟან სენ-მორისისგან მიღებული სხვა წერილი, სადაც ადრესატმა ტრანსკრიფციის კოდის ფორმა კიდეზე მიაწერა.

დესენკლოს განცხადებით, მისთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, დიდი პატივი იყო იმ წერილის წაკითხვა, რომლის გაშიფვრაც ხუთი საუკუნის განმავლობაში ვერავინ შეძლო.

მისივე განცხადებით, ეს წერილი ადასტურებს, რომ 1547 წელს, სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან სამი წლის შემდეგ, კარლ V-სა და ფრანსუა I-ს შორის ურთიერთობები გაუარესებული იყო. მათ მართლაც არაერთხელ ჰქონდათ ერთმანეთის დასუსტების მცდელობა. რაც არ უნდა იყოს, წერილში საუბარია იმ დროის ჭორზე, რომელიც კარლ V-ის მკვლელობის ფრანგულ გეგმას ეხებოდა.

როგორც ჩანს, ეს ჭორი მონარქს საკმაოდ აშინებდა.

მომზადებულია Agence France-Presse-ის მიხედვით.

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

# კრისტოფორო კასტელის მიერ დახატული ბიჭვინთის ტაძარი ...




## იტალიამ და საქართველომ საფოსტო მარკები გამოუშვეს

**იტალიამ და საქართველომ საფოსტო მარკები პარალელურად გამოუშვეს. როგორც საქართველოში იტალიის საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული, იტალიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავის აღნიშვნა, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში შესანიშნავი ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობს, არაჩვეულებრივი ერთობლივი ინიციატივით სრულდება: დაიბეჭდა და მიმოქცევაში ჩაეშვა ორი საიუბილეო საფოსტო მარკა.**

როგორც იტალიის საწარმოებისა და იტალიური პროდუქციის სამინისტროს მიერ მომზადებულ მარკაზე, ასევე, საქართველოს ფოსტის მიერ გამოშვებულ მარკაზე, გამოსახულია იტალიელი ბერის, კრისტოფორო კასტელის მიერ დახატული ბიჭვინთის ტაძარი.

**„შემთხვევითი არ არის, რომ არჩევანი კრისტოფორო კასტელის ერთ-ერთ ნახატზე შეჩერდა, რომელიც მან მე-17 საუკუნეში, საქართველოში ცხოვრების თითქმის ოცდახუთწლიანი პერიოდის განმავლობაში შექმნა (ამჟამად ეს ნახატები ქ. პალერმოს ლეონარდო შაშას სახელობის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ინახება) — ეს არჩევანი მიუთითებს როგორც ორ ქვეყანას შორის ისტორიული კავშირების ინტენსივობასა და სიღრმეზე, ასევე, იტალიელების წვლილზე ევროპის კულტურული ოჯახისთვის საქართველოს უკეთ გაცნობის საქმეში.**

**საქართველოში იტალიის ელჩის ენრიკო ვალვოს თქმით, „იტალიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავი შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გადავავლოთ არა მხოლოდ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ერთად განვლილ გზას, არამედ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასაც“.**

აღსანიშნავია, რომ 27 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება იტალიის სახელმწიფო ზარაფხანისა და პოლიგრაფიული ინსტიტუტის მიერ დაბეჭდილი საფოსტო მარკის (ტირაჟი: 350.010 ცალი, ღირებულება B ტარიფით: 2,40 ევრო) და საქართველოს ფოსტის მიერ გამოშვებული საფოსტო მარკის (ტირაჟი: 20.000 ცალი, ღირებულება: 7 ლარი) პრეზენტაცია.

# „ცხოვრების რეალური სიმდიდრე არა ფულსა და ძალაუფლებაში, არამედ ურთიერთობებსა და ადამიანებშია...“



**ვატიკანში საშობაო ლიტურგიას წმინდა პეტრეს ტაძარში რომის პაპი ფრანცისკე გაუძღვა.** პაპმა ქადაგებისას ყურადღება გაამახვილა ადამიანების სიხარბეზე სიმდიდრისა და ძალაუფლების მიმართ. რომის პაპმა დაგმო ომი, ისაუბრა სიღატაკეზე, ასევე მოუწოდა ხალხს სიმამაცისკენ, რათა არ დაუშვან, რომ შიშმა და იმედგაცრუებამ მათზე გაიმარჯვოს.

**„მაშინ, როდესაც ცხოველები იკვებებიან თავიანთ სადგომებში, ადამიანები ჩვენს სამყაროში ესწრაფვიან სიმდიდრესა და ძალაუფლებას, ჭამენ მეზობლებსაც, თავის ძმებსა და დებსაც. რამდენი ომი ვიხილეთ, რამდენ ადგილას. დღესაც უგულებელყოფენ ადამიანურ ღირსებასა და თავისუფლებას. როგორც ყოველთვის, ამ ადამიანური სიხარბის მთავარი მსხვერპლი ყველაზე დაუცველები არიან. ამ შობასაც, ისევე როგორც იესოს დაბადებისას, მსოფლიო ისწრაფვის ფულისკენ, ძალაუფლებისა და სიამოვნებისკენ და აღარ რჩება სივრცე ყველაზე პატარებისთვის, უამრავი არდაბადებული, ღარიბი და დავიწყებული ბავშვისთვის. ვფიქრობ პირველ რიგში ბავშვებზე, რომლებიც შთანთქა ომმა, სიღატაკემ და უსამართლობამ. არ მისცეთ ნება შიშს, შეგუებასა და იმედგაცრუებას, თქვენზე გაიმარჯვოს. ბაგაში მწოლიარე იესო გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის რეალური სიმდიდრე არა ფულსა და ძალაუფლებაში, არამედ ურთიერთობებსა და ადამიანებშია. არ დაუშვათ, რომ ამ შობამ სიკეთის კეთების გარეშე ჩაიაროს“,** — განაცხადა რომის პაპმა ქადაგებისას.

დღეს, ტრადიციულად, რომის პაპი ფრანცისკე წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან მორწმუნეებს „ურბი ეთ ორბი“ ქადაგებით მიმართავს და შობას სხვადასხვა ენაზე მიულოცავს.

# ღია კარის დღე მოსწავლეთათვის

**გორში, საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეით ბრიგადაში მორიგი ღია კარის დღე გაიმართა. ამჯერად, სამხედრო ქვედანაყოფს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟინვალისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.**

მოსწავლეებმა სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა, ახლად გახსნილი ყაზარმა და თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი სპორტული კომპლექსი დაათვალიერეს. ბავშვებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ბაზის ტერიტორიაზე გამოფენილი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გაცნობა იყო, რადგან მათ სამხედრო გაკვეთილებზე თეორიულად შესწავლილი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები, უშუალოდ სამხედრო ბაზაზე იხილეს. მოსწავლეების ღია კარის დღე „ჯარისკაცის ულუფის“ დაგემოვნებით დასრულდა.



# ჩინური მფრინავი ავტომობილი

**Xpeng-ის წარმოების პირველი მფრინავი ავტომობილის გამოსვლის სავარაუდო თარიღი და ფასი ცნობილია.**

**სტარტაპ AeroHT-ის დამფუძნებლის, ჩჟაო დელის განცხადებით, Xpeng-ის ელექტრომობილის სერიული წარმოება შესაძლოა 2025 წელს დაიწყოს, მისი ღირებულება კი 140 000 დოლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ Xpeng-ის პარტნიორი სწორედ კომპანია AeroHT არის, რომელიც მფრინავ ავტომობილებზე 2013 წლიდან მუშაობს.**

**ჩჟაო დელის განცხადებით, ავტომობილი დროის 90%-ს ჩვეულებრივ გზებზე გაატარებს, აფრენა კი მხოლოდ საცობების დროს იქნება შესაძლებელი. ავტომობილს 4 ელექტროძრავი და 8 პროპელერი ექნება.**

# არნახული ყინვები ამერიკაში

**აშშ-ში ძლიერი ყინვა მძვინვარებს, შტატების უმეტესობაში ტემპერატურის მკვეთრ ვარდნას და ძლიერ არქტიკულ ქარს ელოდებიან.**

**ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, რამაც 200 მილიონი ადამიანის ყოველდღიურობაზე მოახდინა გავლენა. ძლიერ ყინვას ქვეყანაში სულ მცირე 12 ადამიანი ემსხვერპლა.**

**ამავე ინფორმაციით, ამ დროისათვის ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგია 1.5 მილიონზე მეტ ადამიანს არ მიეწოდება. უამინდობის გამო 5 000-ზე მეტი ავიარეისი გადაიდო. აშშ-ის ეროვნული მეტეობიუროს პროგნოზით, ზოგიერთ შტატში უახლოეს დღეებში ტემპერატურული ანტირეკორდები დაფიქსირდება.**




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6883; ევრო - 2.8547;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2445;
100 რუბლი - 3.9085; თურქული ლირა - 0.1430;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5843;
1000 სომხური დრამი - 6.8222

**ამინდი 26 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | -6, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე +8 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | -4, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge